


# ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରମାଲା ପ୍ରକାଶିତ ଦେଖିବାରେ ଯେତେବେଳେ



“ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରମାଲା”



საქართველოს მიცნობილებათა აკადემია

ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიასა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის  
მიერ გამოიცემული



## ლელა პატარიძე

„ცხოლებაზ ჭაღლისა ნინოზი“

(ძარღლის გარემოსტიცანიგის პულტურულ-ისტორიული  
საკითხები)



თბილისი

„მიცნობილება“

1993

63.3 (2  $\Gamma$ )  
3211

63.3 (21)

3211

ნაშრომში მოცემულია სკარატელის გაქრისტიანების კულტურულ-სტრუქტურული ასპექტების შემთხვევა. ფერობის განიხილავს IV ს-ის ავთენტური თანხლების „წმინდა ნინოს ცხოველების“ ქრისტიანულ სიმბოლიკა, შახვა ასაული საკალური ღრიოსა და სიყრეების გაფეხს. ცალკე თავები ყდონება წარმართული რელიგიის კულტიდან ქრისტიანულ ლითაციასურებაზე გადასვლის პროცესის კვლევის წყაროთმოდნების საკითხებს და ქართლის (იმერიის) სამეცნი ისტორიის წარმართულ ტრადიციის ქრისტიანულად გააზრების საწყისი ეტაპის ჩანაწერს.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისთვის — სტრიქონის-ბისა და ფილოლოგებისთვის, აგრეთვე მკათხველთა დარღვევისათვის.

E 69.192

რედაქტორი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

2. ჩხარ ტოშვილი

რეცენზიურები — ისტორიის მეცნიერებათა დოკტორი გ. ა ლ ას ა ნ ი ა

ისტორიის მეცნიერებათა კანლიდატი

### ၈. ဒုဂ္ဂိုလ်ကပ်လှို့ဒုဂ္ဂိုလ်

პ 053020906 134—92 © გამოცემლობა „შეცნირება“, 1993  
M 607 (06)—93

ISBN 5-520-01316-0



## შ ვ ს ა ვ ა ლ ი

წიხაძეებარე ნატროში წარმოადგენს ქართული ორიგინალური აფიონების ღირებულების და მინიჭებული სამართლის „წმინდა ნინოს ცხოვრების“ გაგების ცდას. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სპეციალურ ლიტერატურაში აჩვეროვნების ყოფილა განხილული მრავალი ასპექტით: როგორც წყარო ქართლის გაქრისტიანების ისტორიისა, სოციალურ ურთიერთობათა, რელიგიის ისტორიის, სახისმეტყველების; დასმულა ამ თხზულების დაწერის და რედაქტირების თარიღის. მისი ავტორობის პრობლემები, კულტურული საკითხი თავისთავად ძალის საინტერესო და ჯერ კიდევ საჭიროებს ჩატრადებასა და გაახალი იხებას. შეუხედავად აშია, „ნინოს ცხოვრების“ (სუვერენი როგორც ძეველი ქართული კულტურის შრავალი სხვა ძეგლის) კვლევისას გამოიკვეთება ერთი თვალსაჩინო პრობლემა — ძეგლის გაგება. მის შთლიანობაში, არა კურძო საკითხის ან საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროს გასაშუქრებლად, არა და როგორც შოცემული კულტურის ფენომენის, როგორც თვითკარი ღირებულების წევდომა. ნათესავი არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს წევენს წიხაშე „ნინოს ცხოვრების“ შბატერული ანალიზის პრობლემა დაისვა, თუ არ უცვებით ეს თხზულება გავიცნობით, როგორც არგა გაისახიათავად არც ეს საკითხია ინტერესმოვლებული. შეგრამ ძეგლის ძალის რეტროსული ღირებების გამოაშეარავება და შეფასება შხოლოდ ფორმალურ ახალიზარდე მიგვიყვანს, იმ შემთხვევაში, თუ არ ვეცდებით ეს თხზულება გავიცნობით, როგორც არგა გახული ხაშიად იმ აზროვნებისა და იმ კულტურისა, რომლის წიაღშიც ის წარმოიშვა. სწორედ ამ კულტურულ-აზრობრივი, მენტალური სფეროს წევდომის გზით შეიძლება მისვლა თხზულების ავტორის ნამდვილ მიზანდასახულებამდე.

შეხედულებათა გარევულ სისტემას, რომელიც გარკვეული კულტურის ტიპისთვისაა დამახსინათბერი, ხშირად გამოხატავენ ტერმინით „საშყაროს სურათი“ ან „საშყაროს მოდელი“ (აღბათ, შესაძლებელია ამიერ შხიშველობით ვიშმაროვ სიტყვა „მსოფლხატი“). აღნიშვნული სისტემის კომპონენტებად შინეულია დროისა და სივრცის,

ოღქშა, აშევეყხიურისა და იშვევენიურის ურთიერთმიმართება, პიროვნების თვითცხობიერება, შისი დამოკიდებულება სოციალური კატეგორიებისადმი და სხვ.<sup>1</sup> „სამყაროს სურათის“ ასეთი „დაყოფაში მრჩევა პირობით ზასიათს ატარებს, რადგანაც სამყაროს სურათი ჰქონია მას მართვის მიზანის ურველ ხაბიჯზე ვლინდება და ქმნის იმ სულიერ ატმოსფეროს, რომლითაც შოცებული საზოგადოების ნებისმიერი წევრი სახრდოობს. თუშა ისეთი ყოვლისშობურელი ფენომენის შესწავლა და დაბასიათება, როგორიც სამყაროს სურათია, ერთიანად პრაქტიკული თვალსახრისით შეუძლებელია და ამიტომ გამოქვოფენ მასში ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის, შაგალიად, დრო და სიციცი.

IV საუკუნის 20-იან თუ 30-იან წლებში ქართლის სამეფოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. დაახლოებით ამავე დროიდან საქართველოში ყალიბდება საზოგადოებრივი მოღვაწეობის ის სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური, ეთიკური თუ ესთეტიკური ტიპი, რომელსაც შეა საუკუნეების ქართული კულტურა ეწოდება.

ტრადიციით საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება სათავეს შოცებულებრივი პერიოდიდან იღებს. სწორედ ამ დროიდან უნდა ვივრაუდოთ ქრისტიანული ქართული კულტურის მსოფლიხის ჩამოყალიბება, რომელიც, უნივერსალური (ზოგადქრისტიანული) მსოფლიხედები, რომელიც სისტემის გარდა, შეიცავს მრავალ ინდივიდუალურ ქხედველობრივი სისტემის განეხა, როგორც ეს ნაჩვენებია სამეცნიერო ელექტრონური, ხშირად აღილობრივი, წარმართული ქრწმენა-წარმოდგენების ქრისტიანულად მოდიფიცირების შედეგია. ქრისტიანული ქართული კულტურის მსოფლიხი, როგორც გარკვეული სისტემა, ქრისტიანული სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე იჩენს, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე თავს. ამის თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს გაქრისტიანების ახლო ხანებში შექმნილი თხზულება — „ცხორებაა წმიდისა ნიშობის“.

„ხიხოს ცხოვრებაა“ ჩვეხამდე რედაქციით მოაღწია. მათ შორის უძველესი რედაქცია ე. წ. „შატბერდულ-ქელიშურის“ ანდა „პრატილი ნინოს ცხოვრება“, უკანასკნელი ხანის გამოკვლევების მი-

<sup>1</sup> А. Я. Гуревич, Новые подходы к изучению источников по западно-европейской средневековой культуре. Актуальные проблемы источниковедения и специальных исторических дисциплин: Тезисы докладов IV Всесоюзной конференции, М., 1983, с. 101.

ხედვით, IV ს-ის შეუა ხახების ძეგლია და მისი შემდგენელი ქადაგზეა „ცხოვრებაში“ დაცული ორადიცის თანახმად, არის გაქრისტიანული პროცესის აქტიური შოთაწილე, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის — შიორიახის რძალი (შეფის ძის რევის ცოლი) სალომე უჯარმელი<sup>2</sup>.

„ნიხოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის კომპოზიციური ერთიანობა კარგა ხანს შეუმჩნეველი იყო. ეს ეხება, სხვათ შორის, არა ძარტო თანაშედროვეთ, არამედ ქედ წყერლებსაც, რომელთაც იმის გამო, რომ თბეზულებას დოკუმენტების კრებულის სახე აქვს, „საკლესიოდ შეითხველთაოვის“ შისი გამოყენება შეუძლებლად მიაჩნდათ. ბოლო ზანქებში მტკიცედ იყიდებს ფეხს აზრი იმის შესახებ, რომ „ნიხოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია კომპოზიციურად მტკიცედ შეერტო თბეზულებაა. თუმცა არსებობს ამ აზრის ვარიანტები: შ. ჩხარტიშვილს ყველა დღეს არსებული თავი თბეზულების ორგანულ ნაწილად შიაჩნია<sup>3</sup>. ე. აბაშიძე ცალკე გამოცყოფს „ნინოს ცხოვრების“ ბოლო თავს — „შიორიახის წიგხეს“, თუმცა, ვიმეორებთ, იგი თბეზულების ლოგიურ და კომპოზიციურ მთლიანობას არ უარყოფს.

აუცილებელია იმის აღნიშვნაც, რომ „ვრცელი ნინოს ცხოვრება“ უდავოდ ატარებს გვიანდელი რედაქტირების კვალს (მ. ჩხარტიშვილი „ნიხოს ცხოვრებაში“ რედაქტირების რამდენიმე ფენას გამოყოფს, რომელთაც აღგილი უნდა ჰქონოდა ამ თბეზულების „მოქცევად ქართლისახას“ ქრონიკათან გაერთიანებისას — V ს-ში და შემდგომ, „მოქცევას“ ფარგლებში — VII და IX სს-ში)<sup>4</sup>. განსაკუთრებით საგრძნო-

2 გ. ჩხარტიშვილი „ნინოს ცხოვრებას“ ძირითადად იმ სახით, როგორც ის „ვრცელ რედაქტირება“ დაცული, IV ს-ის ავთენტურ ძეგლად თვლის. ის. გ. ჩხარტიშვილი, ქართლის პავიონერაუის წყაროთმოლენისთვის შესწავლის პროცედურები. „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“, თბ., 1987; რ. სიჩაძე „ნინოს ცხოვრების“ ძირითად ეპიზოდებს, როგორიცაა, მაგ., შინის დაპნელება, კვრების აღმართვა და სხვ., შიაჩნიენ IV ს-ის ძეგლებად. ის. რ. სიჩაძე, „ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისის ქართლის შეერტოლებისა, განთიადი, № 3, 1989, გვ. 235—258; „ნინოს ცხოვრებაში“ ავთენტურ პლასტების არსებობას აღამტერებენ ზ. კუნაძე, თ. შირაზშვილი, თ. მგალობლიშვილი, ვ. გომილაძე, გ. გომირგაძე, გ. ნარსაძე და სხვ.

3 ცხოვრება ნინოსი, ძევლი ქართლი ავთოგრაფული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბ., 1971, გვ. 51.

4 გ. ჩხარტიშვილი, დასტ. ნაშროვანი, გვ. 62—80.

5 ე. აბაშიძე, ქართლის სატელიკა „მოქცევად ქართლისაში“, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1988, გვ. 127—135.

6 გ. ჩხარტიშვილი, ქართლი ავთოგრაფული წყაროთმოლენისთვის შესწავლის პროცედურები „ცხოვრება წმიდისა ნინოსი“, გვ. 22, 34, 38, 39.

შია ეს კვალი „ერცული ნინოს ცხოვრების“ იმ ნაწილში, სადაც წმ. ნინოს წარმოშევლობასა და შესი ქართლში მისვლის ისტორიაზეა ქართული ეპიკური რი, რაც საქართველოს კულტურის კომფესიური თუ პოლიტიკური ტერიტორიას გათვალისწინებით უნდა მომზდარიყო. გვიანი რედაქტირების ეს კვალი იყო ერთ-ერთი შაშქი იშისა, რომ დიდი ხნის მანძილზე „ხიხოს ცხოვრება“ ითვლებოდა IX ს-ში შედგენილ თხზულებაზე<sup>7</sup>. ხსეხებული გარეშოება, ვფიქრობ, დღეს ვეღარ გადაელობება „ხიხოს ცხოვრების“ როგორც გაქრისტიანების ხანის კულტურის ფენომენის შესწავლას, თუმცა მკვლევრისაგან ტექსტის მიმართ, ყოველ შის ძოხაკვეთზე, სერიოზულ წყაროთმცოდნეობით კრიტიკას მოითხოვს.

აშრიგად, ჩვენს ხელთა IV ს-ის შუა წლებში, ე. ი. ქართლის გაქრისტიანების თითქმის თანადროულად შედგენილი თხზულება ქართლის გაქრისტიანების შესახებ. ცხადია, იგი დასმული პრობლემის გადაჭრისათვის არპრეზენტრული წყაროა.

ცხობილია, რომ წყაროთმცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს ტექსტის ჰერმენევტული ინალიზი. ძეგლის „შიხაარსის გაგება კი უშთავრესად ძნელდება იმის გამო, რომ თანაბეჭროვე შევლევარს უკირს გაიგოს გარდასული ეპოქის „ენა“. ქართული ქრისტიანული შეწრლობის ერთ-ერთ უძველეს ძეგლში — „ხიხოს ცხოვრებაში“ დაშიფრული ინფორმაციის სრული აუკისება შესაძლებელი გახდება სწორედ აღრევრისტიანული ქართული კულტურის საბჭაოს სურათის მოახრების შემდეგ. და პირიქით, აღრევრისტიანული ქართული კულტურის „სამყაროს სურათის“ ივავე „შეხტალობის“ წვდომისას უპიშვენელოვანეს წყაროს თავად უშმინდა ხიხოს ცხოვრების“ ტექსტი შეაღვენს. ამიტომ ნაშრომში ჩვენს შეირ დასმული ამოცანის გადავრა, ერთგვარად, საფეხურებრივი პრინციპით გახხორციელდა. უპირველესად, აუცილებელი იყო საკუთრივ „ხიხოს ცხოვრების“ შიხაარსის „ამოკითხვა“. ეს კი გულისხმობდა იმ სიმბოლურ შნიშვნელობებში „შელწევას“, რომლებიც ფაქტობრივად თხზულების „ენას“ წარმოადგენს. რადგან „ნინოს ცხოვრების“ ძი-

7 ი. ჯავახიშვილი, ანდრა მოციქულისა და წმ. ნინოს მოლვანიშვილისა ქართველობი. მთამცე, 1900, № 6; კ. ჯავახიშვილი დე, რველ ქართლი ლიტერატურის მსტორია, I, თბ., 1980, გვ. 531; ნ. ი. მარე, ხითი გospoden в книжных легендах армян, грузин и сирийцев, СПб. 1897, с. 7 და სხვ. ამ თვალსაზრისის კრიტიკა ძირითადად მოცემულია მ. ჩხარტვიშვილის დასხელებულ ნაშრომში. ამ საკითხის უფრო უარობდ გაშლა ჩვენი ნაშრომის შიხაარსახულების ფარგლებს სცილდება.

როთადი ასრი და იდეა ქრისტიანული სიმბოლოებითაა გადმოცემული, პირველი ხაშილი წარმოდგენილი ნაშრომისა — „ნინოს ცხოვრების“ ქრისტიანული სიმბოლიკა სწორედ ამ მოცანის გადაჭრას მოჰყობა. აյ დავსძებდით, რომ ნაშრომის ამ ნაშილს ორა აქეს პრეტენზია „ნინოს ცხოვრების“ ყველა სიმბოლოს გახსნაზე და ეს თხულება ჯერ კიდევ „ღიაა“ ჟემდგომი კვლევა-ძიებისათვის ამ მიმართულებით. „ნინოს ცხოვრებაში“ დაშიფრული კულტურულ-ისტორიული შინაარსის წვდომის შემდეგი ეტაპი არის სიმბოლური ენის „წაკონხვით“ შოპოვებული ცოდნის გააზრება მთოლოვიურ-ტელიგიური აზროვნების ზოგადი პრინციპების კონტექსტში. „ცხოვრების“ ავტორის, და აქედან გაძმოდითარე, შისი თანამედროვე მკითხველისა თუ მსმენელის „საზყაროს სურათის“ ამგვარი გაანალიზება, რასაც ნაშრომის მეორე ნაწილი ეთმობა, ისევ და ისევ „ნინოს ცხოვრების“ ცოცხალ-ქსოვილთან — ტექსტური შეიძლო ურთიერთობაში და მისი „კარნაბით“ ხდება. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ ძეგლის ვეტორს არ „დავაბრალოთ“ და „თავს არ მოვახვიოთ“ ის აზროვნება, რომლის ტყვეობაში „შეიძლება აღშოჩნდეს თვით კრიტიკოსი, რაც ახალოთხელ მომხდარა ძარღორიული ტექსტის სახოგადოდ და კერძოდ კი თვით „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შესწავლის პრიცესში. შემდგომ, ჩვენ მოვდევთა საშუალება კულტურის უფრო კონკრეტულ სფეროებს შეიძლება მიებრუნებოდით და „შევეცადეთ შეტ-ნაკლები სიცხადით დაგვენახა, თუ როგორ ასახვს „ნინოს ცხოვრება“ საქართველოს კელების დაფუძნების ფაქტს, როგორი იყო ქრისტიანული სალვატორისახური პრაქტიკის პირველი ნაბიჯები საქართველოში, როგორ მოხდა გერმანისტიანების შემდეგ სახულ-შეწყოს ისტორიულ ღრმში თვითგააზრება და ქართლის სამეფოს ისტორიული კონცეფციის ჩამოყალიბება. ამ საკითხების წამოჭრა, როგოლთაც ნაშრომის შესაძე და შეთხე ნაწილები ეთმობა, არა ჩვენი თვისუფალი არჩევახით, არამედ თვით „ნინოს ცხოვრების“ ვეტორის სხტერებების სფეროს გათვალისწინებით და, ამდენად, ისევ და ისევ თხულების ისტორიული ტექსტით არის ნაკარნახვი. ამგვარად, ჩვენი ნაშრომი, უპირველეს ყოვლისა, „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ ეხება და თვით ამ თხულების შეირ არის ნაკარნახვი და განსაზღვრული.

ამიტომ დასჭული პრიმერების გადაწყვეტას მიყვავირთ წყაროთ-შკოდებობით ძიებებამდე. ამის შესაბამისად, ნაშრომი ორ სხვადასხვა სიბრტყეში იშლება. ქართული ქრისტიანული კულტურის შემცენების ზოგადი აშკანა შეიიღონდ უკავშირდება მოცემული თხზულების წყაროთშკოდებობით შესწავლასა და კონკრეტული კულტურული ისტორიული ფაქტების მოაზრობის საკითხებს.

## თავი პირველი

### „ნინოს ცხოვრების“ ძრისტიანელი ცემბოლიქა

„იშვიათია იმდენად სიმბოლიზებული ნაწარმოები, როგორიც „ნინოს ცხოვრებაა“, — წერს ქველევარი რ. სირაძე, რომელმაც „ნინოს ცხოვრების“ სიმბოლიკა პირველმა გაიხადა სპეციალური შესწავლის საგნად! მან თავის ნაშრომში „წმინდა ნინო და დედა-უფალი“ „ცხოვრებიდან“ გამოჰყო ისეთი მითოლოგიურ-ჩელიგიური სახე-იდეები, როგორიცაა შცხეთა და იქრუსალიმი, ბალი და სამოთხე, თვალი პატიოსახი, შინის დაბხელება, დედოფალი და ტუვე, შაყვლოვანი და ადგილის დედა, მთა, ხე, ხე და ორები, ჯვარი „ნასხლევისაა“, სეეტიცხოველი, წმინდა ნინო და დედაუფალი.

რ. სირაძე მიიჩნევს, რომ „ნინოს ცხოვრებაში“ დასტურდება ქართული წარმართული რელიგიური აზროვნების გაღმონაშობი, რომლებიც საჩინოებდება ზემოთ დასახელებულ სიმბოლურ სახეებში. ავტორს შესაძლებლად მიაჩნია „ნინოს ცხოვრების“ ქრისტიანული სიმბოლიკის შილაძი ქართული წარმართული სახეების რეკონსტრუქცია. შისი ხაშრომი წარმართული ქართული პანთეონის ქალ-ღვთავების „დიდი დედის“ ანუ „დედაუფალის“ რელიგიური და ესთეტიკური შინაარსის ჭვდომის ცდას წარმოადგენს.

„ნინოს ცხოვრების“ სხვადასხვა ქრისტიანული სიმბოლოების შესახებ თავიახოთ თვალსაზრისით გამოთქმული ქველევრებს კ. მიმილიძეს, ი. სურგულაძეს, ზ. კიქნაძეს, თ. მირზაშვილს, ე. პელიძეს, გ. ხარსიძეს და სხვ., რომელთა შოსანირებები ქვემოთ შესაბამის იდგილას გვექნება მითოებული.

„ხიხოს ცხოვრების“ ქრისტიანულ სიმბოლიკას ჩვენ უშუალოდ ამ თხზულების შინაარსეულ კოსტექსტში განვიხილავთ. შევალდებით „წავიყითხოთ“ ეს თხზულება იმ „ენის“ ფარგლებში, რომლითაც ის

1 რ. სირაძე წმინდა ნინო და „დედა-უფალი“, მნათობი, № 2, 1985, გვ. 154.

ოპერირებს. „ხინოს ცხოვრების“ ენა სიმბოლურია, რაღაც ის საკრა-  
ლური შიხაარსი, უშთავრესი იდეა, რომელიც ამ თხზულებაშიც ჩატყე-  
ბული, სიმბოლოების საშუალებით გადმოიცემა. ამიტომ „ნინოს ცხოვ-  
რების“ შიხაარსის გავება შეუძლებელია იმ „ნიშნების“ გაუაზრებლად,  
რომლითაც ეს შიხაარსი გადმოცემული.

გავეცნოთ რამდენიმე მათგანს.

### 1. „წიგნი დაგიაღული“

საქართველოსაკენ მიმავალი შ. ნინო ფარავნის ტბას მიუახლოვ-  
და აქედან მან დაინახა ზაფხულში თოვლით დაფარული „მოები ჩრდი-  
ლობასაც“, ამ სახახაობით შეძრულებულმა დაიძინა და იხილა ჩვენება.  
„ცხოვრების“ ამ ეპიზოდს მოვიყვანთ მთლიანად:

„... მოეილ ლოდი ერთი და დავიდუ სასუნალად თავსა, და გარ-  
დასაღინელსა მის ტბისასა დავიძინე. და მოვიდა ჩვენებით კაცი ერთი  
ჰასაკითა ზოშიერი, თშითა ნახევარ-თმისანი, და მომცა მე წიგნი და-  
ბეჭდული და მრჯუა მე: „ალდევ და სწრაფით მიართ ესე მცხეთას მე-  
ფესა წარშაროთთასა“. და ვიწყე ტირილით ვედრებად მისა და ვარქუ: „უფალო, დედაკაცი ვარ უცხოო და უმცერი, ვითარ მივიდე მე, არცა  
ეხად ვიცი, თუ რამ ვთქეუა უცხოთა ნაოესავთა თანა?“ მაშინ განვსნა  
წიგნი იგი და მომცა შე კითხვად. დაწერილი იყო პრომაელებრ და  
დაბეჭდული იყო იესუსი.

დაწერილნი იყვნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა-იგი პირველ ფი-  
ცართა ქვისათა.

პირველი სიტყუა: სადაცა იქადავოს სახარებად ესე, მუნცა ით-  
ქმოდის დედაკაცი ესე.

ბ. „არცა შაშაკაცებამ, არცა დედაკაცებამ, არმედ თქუენ ყოველ-  
ნი ერთ ხართ.“

გ. „წარველით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-  
სცემდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

დ. „ნათელი გაძმობრწყინვებად წარმართთა დიდებად ერისა შენი-  
სა ისრატლისა“.

ე. „სადაცა იქადავოს სახარებად ესე სასულეველსა, ყოველსა  
სოფელსა ითქმუმოდეს“.

ვ. „რომელშან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარებს, და რო-  
მელშან შე შეშიწყნაროს, შეიწყნარებს მომავლინებელსა ჩემსა“.

ჭ. ფრიდ უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისმენნ  
მისა სიბრძნესა კეშმარიტსა.

გ. „ნუ გეშიხინ შათვან, რომელთა მოსწყულნენ კორცი ჰქიცენის გარებაზე“  
ხოლო სულისა ვერ შემძლებელ არიან მოწყუელად“.

თ. „პრექუა მარიამ მაგდალენელსა იესუ: „უზრედ, დედაყაცო, და  
ახარე ძმათა ჩემთა“.

ი. საღაცა პეადაგებდეთ სახელითა მამისაჲთა და ძისჲთა და სუ-  
ლისა წმიდასაჲთა.

და ვითარცა ესე წავიყითხე, ვიწყე ვეღრებად ღმრთისა მიმართ  
და გულისკმა-უყავ, ვითარმედ ზეცით იყო ჩუენებად ესე. და ოლგიზი-  
ლენ თუალხი ჩემნი ზეცად და მაღალი იგი ვაკურთხე და მისგან ვით-  
ხოვე შეწევნად ჩემი კირთა შინა. და გარდამოსადინელა მის ტბისასა  
მოვჰყვე და წარმოვემართე“<sup>2</sup>.

ახელოზის მიერ ხიხოსათების „წიგნის“ გადაცემა თავისითავად  
ღვთის ნების გაცხადებაა. „წიგნის“ ამის „დასამტკიცებელი სამუტიც“  
ახლავს — უფლის ბეჭედი (გავიხსენოთ: „დაბეჭდული იყო იესუსისი“).  
ქრისტეს ნიშნით აღმეცდეთ ნათლისლების სიმრილო იყო<sup>3</sup>.

„ბეჭედის“ ქრისტიანულ შენშენელობას ვანმარტავს ე. ჭელიძე და  
შას „ქებად და დიდებად ქართულისა ენისამში“ დადასტურებული „წე-  
რილის“ სიხონიშად თულის: „ბეჭედი“ დროის რომელიმე მონაცემთში  
დაგენერება საგანს. შისი სამუალებით ეს საგანი დაცულია, დამარტულია  
და ვერავინ ვერ შოშლის შას იმ პირის გარდა, ვინც დაბეჭდა. ამას-  
თან ამ პირის ბეჭედი შოშლება შხოლოდ მეორედ მოსვლისას<sup>4</sup>.

„ტერშხსს signum (sphragis), რომელიც ქართული ბეჭედს და  
ნიშანს ნიშნავს, — წერს გ. ნარსიძე, — ქრისტიანულ სიმბოლიშიში  
ქრისტეს შონოგრამის სიხონიშური შნიშვნელობა ჰქონდა: ეპიტაფიებ-  
ში ქრისტეს შონოგრამა ზოგჯერ წოდებულია, როგორც „signum  
domini“ — უფლის ნიშანი ინ უბრალოდ „სიგნუმ“ შონოგრამის ფი-  
გურის დამატებით.

ამგვარად, „ნინოს ცხოვრების“ ვანსახილველ ადგილას სიტყვე-  
ბის „დაბეჭდული იყო იესუსი“ შნიშვნელობა უნდა განისაზღვროს,

<sup>2</sup> მოქმედად ქართლისათ, გვ. 116—117.

<sup>3</sup> რაიონი ა., Происхождение христианских таинств, М., 1931,  
с. 71, 114.

<sup>4</sup> ჭ ე ლ ი ძ ე ე., გნოსტიკური ხასიათის ძეგლი, მნათობი, № 12, 1983, გვ. 132.

<sup>5</sup> ხ ა რ ს ი ძ ე გ., უძველესი ქართული თხზულება, მნათობი, № 9, 1985, გვ.  
160.

როგორც იქსოს ნიშნით ობეჭდვა ანუ ქრისტეს მონოგრამით დაბეჭდვა, რაც წერილის ლეთაებრივ წარმოშავლობაშე მოუთითებს. მროვალებრივ უმეტეს, რომ ეს წერილი ანგელოზმა გადასცა წმინდა ნინოს მობლადაში, ში შართლაც გვხვდება ბეჭდის ისეთი მნიშვნელობა, როდესაც ის აღასტურებს, რომ ამ ბეჭდით ობეჭდილი სავანი მისი მფლობელის კუთვნილებაა და მა მფლობელის ხელიდანაა გამისული (III მეცეთა, 21,8); ანდა, როდესაც ბეჭედი ღოუშენტს, მაგ., კრაგნილს საძლუმლო შჩიშვნელობას ახიცებს, რადგანაც მისი წაკითხვა შეუძლია მხოლოდ იმს, ვისაც ბეჭდის გატეხვის უფლება აქვს (ცხაია, 29, 11)<sup>6</sup>.

ახლა განვიხილოთ ის „ათნი სიტყუანი“, რომელიც ამ წიგნში აწერს და რომელიც შოსეს ათ შცნებასთან არის შედარებული — „დაწერილნი იყვნეს ათნი სიტყუანი, ვითარცა იგი პირველ ფიცართა ქვისათა“. ეს „სიტყუანი“ წარმოადგენს ციტატებს ახალი აღმოჩენის სხვადასხვა ადგილებიდან, რომლებიც, როგორც ჩანს, გარკვეული მიზნით არის შეტჩეული და გარკვეული აზრის გმომშეატველა. ამათვან პირველს, შეშვიდესა და უცანასკნელს სახარებაში პარალელი არ ეძებნება და, შესაბამისად, გამოცემაშიც ბრჭყალებს გარეშეა წარმოდგენილი. პირველი მიშართვაა, შითითებაა ამ წიგნის ქისახელისაღწი: „სადაცა იქადაგოს სახარებამ ესე, მუნცა ითქვმოდეს დედაკაცი ეს ე“ (ხაზი ჩევნია — ლ. 3.) — ანუ წმ. ნინო, რომელიც გადასცემს შეფერს ამ წიგნს და მისთვის იქმნება „დედაკაცი ესე“.

შეთეთ — „სადაცა ჰქადაგებდეთ სახელითა შამისამთა და ძისამთა და სულისა წმიდისამთა“ — დასხარულის ჩვეულებრივი ქრისტიანული ფორმულაა და მასთანავე პირველი წინადაღების შინაარსს აგრძელებს და ამრჩეულებს: 1. „სადაცა იქადაგოს სახარებამ ესე...“; 10. „სადაცა ჰქადაგებდეთ სახელითა შამისამთა...“.

შეშვიდე წინადაღება ასეთია: „ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რამეთუ მარადის ისშენნ მისა სიბრძნესა კეშმარიტსა“. სს ჩვენ ქვეშოთ შესაბამის აღვილის განვიხილავთ.

რა შეიძლება ითქვას სახარებიდან გამოკრებილ ციტატებზე? რა შინაარსის მიხედუით შეასჩიეს ისინი? თავიდანვე თვალშისაცემია, რომ აქ ერთ-ერთი წამყვანი ქალის თემაა. მეორე წინადაღება ასეთია: „არცა შაბაკაცებამ, არცა დედაკაცებამ, არამედ თქვენ ყოველნი ერთი ხართ“, — ამოღებულია პავლეს ეპისტოლედან გალატელთა მიმართ.

<sup>6</sup> Словарь библейского богословия, под редакцией Ксавье Леон-Дюфура, Брюссель, 1974, Печать.

აქ ვკითხულობთ: „არა არს ჰურიაება, არცა წარმართება, არა არს მოხება, არცა აზნაურება; არა არს ჩეხევა მამაკაცისა, არცა დელაჭილებულება რამეთუ თქუნ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“ (ვ.28) მისთვის ბუხლიდან სწორედ დედაკაცობისა და მამაკაცობის თემაა ამოღებული. ეს ბუნებრივიცა — აქ სწორედ წმ. ნინოს, როგორც განმარტებული კალის უფლებაშოსილებაა განმარტებული. ეს დანარჩენი ციტატებიდანაც ჩანს, სადაც წმ. ნინოს „პროტოტიპად“ მარიამ მაგდალინელი და მარიამ ლაშარეს დაა გამოყვანილი.

შეცხრე წინადადებაში ვკითხულობთ: „წრეუა მარიამ მაგდალენელსა იესუ: „წარეელ, დედაკაცო, და ახარე ძმათა ჩემთა“ (აქ უნდა იგულისხმებოდეს მათე 28.10, ან იოანე 20, 17).

შათე: „ნუ გეშინინ, წარვედით და უთხართ ძმათა ჩემთა, რათა წარვიდეს გალილეს და მუნ მიხილონ მე“.

იოახე: „ჰრეუა მას იესუ: ნუ შემომეხები მე, რამეთუ არღა აღსრულ ვარ შამისა ჩემისა; წარვედ ძმათა ჩემთა და არქუ მათ: აღვალ ვამისა ჩემისა და მამისა თქუნენისა, ლმრთისა ჩემისა და ლმრთისა თქუნისა“.

სახარებაში ამ ციტატის კონტექსტი შემდეგია: მცედრეთით აღმდგარი იესო პირველად სწორედ შარიამ შაგდალიხელს გაშორეცხადა; როდესაც შარიამა და სხვა ქალებმა ნელსაცხებული მიიტანეს ქრისტეს საფლავზე, ლოდი მათ გადაგორებული დახვდათ, ქრისტე საფლავზი არ იყო. შათეს, შარკოზის და იოანეს სახარებების მიხედვით იესო პირველად შარიამ მაგდალინელს შეხვდა და უთხრა, რომ წასულიყო გალილეაში და შისი ოღვოშა ეხარებინა მისი მოწაფეებისათვის. იმ ფაქტს, რომ იესო სწორედ შარიამ შაგდალინელს გამოიცხადა პირველად და მარიამი შისი ოღვოშის უპირველესი მახარებელი გახდა, დიდი შნიშეხელობა ეხიცებოდა ქრისტიანულ თეოლოგიაში. მარიამ მაგდალინელი შის გაშორებულების მოციქულად იწილებოდა და მოციქულთა სწორად იქნა მიჩნეული.

შარიამ შაგდალინელის შესახებ სახარების განმარტებებში ასეთ შსჯელობას ეხახულობთ: „ხოლ მარიამ მაგდალინელს, რომელსაც სხვებზე უფრო შხერვალედ უყვარდა იესო და არ სცილდებოდა მის საფლავს, ყველაზე იღრე სვდა წილად ეხილა ღმდღარი უფალი და თვით მოციქულთათვის ეხარებინა შისი ოღვოშის გამოიუთმელი სიხარული... შაგდალინელმა პირველმა იხილა მცედრეთით ღმდგარი უფალი, იქცა ქრისტეს შოცეულად თვით მოციქულთათვის, რამეთუ

შან პირველმა შეატყობინა მათ ქრისტეს მკვდრეთით იღდგომის „შესახებ“<sup>7</sup>.

„შიგნის“ შეხუთე წინადადება ასეთია: „სადაცა იქადაგოს სახა-  
რებად ეს სასუფეველსა, ყოველსა სოფელსა ითქმოდეს“ — ვარა-  
ლელი: მათე — 26, 13; მარკოზ — 14, 9.

კოხტექსტიანად ეს ადგილი მათესთან ასე იყითხება: იესო ბეთა-  
ნიაში სკიტეონ კეთროვანის სახლში იყო — „შოუქდა დედაკაცი“, რო-  
მელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებელისამ მრავლისა სასყიდლისამ,  
და დაასხა თავსა მისსა ინაჯით-მჯდომარესა“. როდესაც ამის მხედველი  
შოუაფერი ძლიერ შეწუხდნენ და დედაკაცის მიმართ საყვედურიც  
გაშოთქვეს, იესომ გაამართლა ის და თქვა: „რამეთუ დამასხა მაგან  
ნელსაცხებელი ესე კორცა ჩემთა და დაასაფლველად ჩემდა ყო. ამინ  
გეტყვ თქვებ: „სა და ცა იქადა გოს სახარება ეს ე  
ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის რომელიცა-  
ეს ე ყო მაგან საკვენებლად მაგისა“ (ხაზი ჩვენია —  
ლ. 3.) (მათე 26, 6—13). მარკოზთან ეს სიტყვები ასეია: „სადაცა იქა-  
დაგოს სახარებად ესე ყოველსა სოფელსა და რომელიცა ესე ქმნა, ით-  
ქმოდის საყვენებლად მაგისა“ (მარკოზ 14,9). „ნინოს ცხოვრებაში“  
ამ ციტატის პირველი ნახევარია დარჩენილი და წინადადება გაუმარ-  
თავად გამოიყურება. საფიქრებელია, რომ ის მთლიანად იმეორებდა  
სახარების მოყვანილ ფრაზას. სიტყვა „სასუფეველსა“ აქ ზედმეტია და  
შინაარსასაც აბუნდოვანებს. ის, ალბათ, გადამწერის შეცდომის შე-  
დეგად მოხვდა ამ ადგილას. იოანეს სახარებიდან ვგებულობთ, რომ ის  
ქალი, რომელშაც უფალს ხელსაცხებელი სცხო, იყო ლაზარეს და —  
მარიამი (იოანე 11,2; 2, 1—3).

შეშვიდე წინადადება — „ფრიად უყუარდა მარიამ უფალსა, რა-  
მეთუ შარადის ისპენნ მისსა სიბრძნესა ვეშმარიტსა“ — დანარჩენები-  
საგან გახსხვავებით პერიფრაზია. აქ დასკვნის სახით ნაჩვენებია ქრის-  
ტესა და ლაზარეს დის მარიამის ურთიერთდამოყიდებულება. შდრ.:  
„უყუარდა იესოს შართა და დაა მისი და ლაზარე“ (იოანე 11,5); აგ-  
რეთვე (ძარიაში) „დაჭდა ფერქთა თანა იესოსთა და ისმენდა სიტ-  
ყუათა მისთა“ (ლუკა 10,39).

7 Руководство к изучению священного писания Нового Завета, составил Иванов А. В., СПб., 1915, с. 679—681.

8 ჰ. კინაძე, „ვითარცა მარიამ და მართამ“, ვალლი, № 4, 26 მაისი, 1990, 83. 6.

აძგეარად, „წინის“ შეხუთე და შეშვიტე წინადაღებები ლაზა<sup>1</sup>  
რეს დის მარიამის სახელს უკავშირდება. მარიამი უფლის მოძღვრების  
დიდი გულისყურით მსმენელია. მან თავისი დისაგან განსხვავდით  
„ძეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არასადა მიეღოს მისგან“ (ლუკა  
10,42). დიდი სიყვარულის ნიშნად გადაასხა მან იქსოს „ალაბასტრი  
ნელსაცხებელისად“ და ამ სიყვარულის გამო დაიმსახურა მისი სახე-  
ლის საშარადისოდ სხენება. მთელს საჭრისტიანოში („რომელიცა ესე  
ქმნა, იოქმოდის სახსენებელად მაგისა“).

ამა ვახოთ რაზე შეუთითებს დანარჩენი მესამე, მეოთხე, მეექ-  
ვე, მერვე „სიტყუანი“.

შესახე: „წარმედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და  
ნათელსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმი-  
დისათა“ (მათე 28, 19) — იქსოს ქრისტე, უკვე მკედრეთით ღმდგარი,  
უკებ: სა—უად შიშართავს თერთმეტ მოწაფეს. აქ ხაზი ესმება წარმარ-  
თთა წარმედის აუცილებლობას. თავისი მიწიგრი ცხოვრების დროს  
ქრისტემ საგანგებოდ გააფრთხილა მოწაფეები: „გზასა წარმართოსა  
ნუ ჩინვალო“ და შეოლოდ ალდომის შემდეგ გაგზავნა მოციქულები  
წარმართებთან.

შეოთხე: „ნათელი გამობრწყინვებად წარმართო ზედა და  
დიდებად ერისა შენისა ისრაელისა“ (ლუკა 2,32. ხაზი ჩვენია — ლ. პ.),  
ეს სიტყვები, ვფიქრობ, ისევ და ისევ წარმართთა მოქმედის ხა-  
სახმელადაა მოხმობილი.

შეექვსე და შერევ წინადაღებები ციტირებულია იქსოს სიტყვი-  
დან „ათორ-შეტა მოწაფეთა მიმართ“. სწორედ აქ დაუსახა ქრისტემ  
თავის მოწაფეებს შათი შისია და მოქმედების მთავარი „სტრატეგია“.  
აი, ეს სიტყვები: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ კორცი,  
ხოლო სულისა ვერ კალ-ეწიფების მოკლვად...“ (მათე 10, 28); „რო-  
მელმან შეგიწყნარნეს თქუნ, მე, შემიწყნარა და რომელმან მე შემი-  
წყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი“ (მათე 10, 40).

უკანასკნელ სიტყვებს თითქმის ზუსტად იმეორებს ლუკას სახა-  
რების ერთი ადგილი (10, 16), სადაც თორმეტის ნაცვლად სამოცდაათი  
წარავლინა უფალმა „ორ-ორნი წინაშე მისსა“. ასე რომ, შესაძლებელია  
ხინოს „წიგნში“ მოყვანილი შესაბამისი „სიტყუა“ მოციქულების  
უფრო გაფართოებულ წრეს გულისხმობდეს.

<sup>9</sup> Толковое Евангелие, кн. I, М., 1877, с. 182.

ამგვარად, როგორც დაუინახეთ, ეს ოთხი „სიტუაცია“ მოცემულია შესიის, კერძოდ, წარმართთა შოქცევის გამომხატველია, თუ ამ თა სიტუაცია“ ერთიანად გავიჩრებთ, მისი მიზანდასახულობის გაფართხელი არ იქნება. აյ ქალის განმანათლებლობის პრობლემაა გადაწყვეტილი. განმანათლებლობა, როგორც ცნობილია, მოცემულთა მისიაა. სწორედ ამიტომ აյ ციტირებულია ქრისტეს სიტუაციი მოწაფეებისადმი. ხოლო მარიამ შავდალის სახის მეშვეობით ნინოს თითქოს უფლება ეძლევა მოცემულებრივი მისია შეისრულოს. მარიამ მაგდალინელი შოცემულთა მოცემულად და მოცემულთა სწორად ითვლებოდა. ეს უდიდესი ღირსება მას შეინიჭა, როგორც ამას სახარების განძარტებებსა და სპეციალურად მარიამისადმი მიძღვნილ ქადაგებებში ვკითხულობთ, იმ დიდი სიყვარულის გამო, რომლითაც მარიამს უჟვარდა იქნო.

თუ მარიამ მაგდალინელი ქრისტეს სიყვარულის გამო იმსახურებს შოცემულის ღირსებას, მაშინ წმინდა ნინოც, როგორც ქალი და როგორც ქრისტეს შეურვალედ მოყვარული, შესაძლებელია, რომ ქართველ წარმართებს მოცემულთა სწორ განმანათლებლად მოვლინოს. ასეთი ლოგიკა მართლაც შეინიშნება თხზულებაში. ზაბილონი მიმართავს ნინოს შემდეგი სიტუაციით: „შენ, მხოლოდ ასულო ჩემო, ესერა დაგრიტევებ შენ ობლად ჩემგან და მიგითუალავ შენ ღმერთსა ცათასა... ნუ გაშინინ, შეიღლო ჩემოს ხოლო შენ მაგდალინელისა მარიამის შური აღიღე სიყვარულისათვის ქრისტესისა და დათა მათ ლაზარესთავა, და თუ შენ ესროთ გეშინოდეს მისა, ვითარცა მათ, მან ეგრჩო მოგცეს ყოველი, რაცცა სიხშოვო მას, ოდეს რაც გინდეს მისგან“. ზაბილონი ეცბნება ნიხოს: დაემსგაეს მარიამ მაგდალინელსა და ლაზარეს დებს — მარიამსა და მართას ქრისტეს სიყვარულში და მაშინ მოგცეს მან ის, რაც გიჩდოდეს. გისაეგბია, რომ აյ მოცემულის მისიის მოპოვებაზეა საუბარი. წმინდა ნინოს რომ მოცემული შეიძლება ეწოდოს, „მოქცევად ქართლისას“ სხვა აღგილიდანაც ჩანს: „მის წინაშე მისცა წიგნი იგი ჰელენე დედოფლისა მოწერილი, რომელი მოწერა ნინომას, დედოფლობით და მოცემულად და მახარებელად შეემჯო“<sup>10</sup>. კილიშურ ხელაშერში კი გვაქვს ელენე დედოფლის წერილის ასეთი ვარიანტი: „და სახატრელი უწოდა დედოფალსა ნანას, ხოლო ნეტარსა ნინოს ელენე სურვილით უწოდა დედოფლად და თვისა სწორად და სწორად წმინდათა მოცემულთა“<sup>11</sup>.

10 მოქცევად ქართლისა, გვ. 110.

11 იქვე, გვ. 90.

გარდა იმისა, ოოშ აქ წმინდა ნინოს მოციქულობაზე და მის საგან-  
მახათლებლო შოლეაწეობის უფლებაშოსისლებაზეა საუბარი, კუტარებული  
რობთ, შოციქულობის შესახებ მოყვანილ „სიტყუებს“ კიდევ საკითხები  
დატვირთვაც უნდა ჰქონდეს.

ქრისტიანული ეკლესია თავისი არსით არის საკურებულო, დაარსე-  
ბული თვითონ უფლის შიერ, რომელიც თორმეტი მოციქულისა და  
შათი შეძლეომი თაობების გამო უფლის ოღვომის მოწმეა. ამიტომ  
არსებობს ერთიანი ქრისტიანული საეკლესიო ტრადიცია, რომელიც  
უშუალოდ შოციქულებაშე აღის. სწორედ ერთიანი საეკლესიო  
ტრადიცია უხდა იგულისხებოდეს იმ ციტატაში, საღაც უფლის მო-  
წმებების შთამოშავლობითობაზეა საუბარი: „რომელმან შეგიწყნარნეს  
თქვენ, მე შემიწყნარა, და რომელმან მე შემიწყნარა, შეიწყნაროს მო-  
შავლინებელი ჩემი“<sup>12</sup>. ამიტომაც ქრისტიანული ეკლესია არ ცნობდა  
ისეთ ერესულ შოძღვრებებს, რომლებიც მოციქულებრივ ტრადიციას  
არ ეშარებოდა და, შესაბამისად, არც ეკლესიას ცნობდა, როგორც  
ქრისტეს ოღვომის მოწმებობის ერთადერთ გზას. ასეთია, მაგ., გნო-  
სტიციში, როშელიც, შიუხედვად იმისა, რომ ქრისტიანობის ფაქტებ-  
სა და სწავლებას ეშარებოდა, არ ცნობდა მოციქულთა საერთო საეკ-  
ლესიო ტრადიციას და თავისი შოძღვრება მიაჩნდა საერთო ქრისტე-  
დან შომდინარედ, როგორც განსაკუთრებული ეზოტერული ცოდნა —  
„გნოზისი“, რომელიც ცალკეული ადამიანიდან ადამიანზე გადადიოდა.  
გნოსტიკოსების მტკიცებით, შათი შრავალი თეორია გათომდინარეობ-  
და შარიამ შაგდალისხელისაგან, რომელსაც ქრისტემ მკვდრეთით აღ-  
დგომის შეძლევ თითქოს შრავალი საიდუმლო გაუმხილა<sup>12</sup>. გნოსტი-  
კოსები, როგორც ჩანს, სახარების სწორედ იმ აღგილს ეშარებოდ-  
ხებ, რომელიც ჩვენს „წიგნშია“ მოყვანილი მარიამ მაგდალინელის  
ლვაწლის ხაზგასასმელად. ამიტომაც დანარჩენი, განსაკუთრებით კი  
ძერვე წინადალება, თითქოს ამათილებს იმ ეკვის შესაძლებლობას,  
რომელიც შეიძლება გასჩენოდა შეითხველს. ის თითქოს ხაზს უსვამს,  
რომ შარიამ შაგდალისხელი მხოლოდ მოციქულთა სწორობის „პროტო-  
ტიპია“ ნინოსათვის და არა გნოსტიკური საიდუმლოს გადმომცემი.  
ამიტომაც მერვე წინადალება სწორედ მოციქულებრივი ტრადიციის  
დამცველია და, ამდენად, საერთო, სამოციქულო ეკლესიის რწმენის  
მაღიარებელი.

12 Иоанн Мейendorf, Введение в святоотеческое богословие, Нью-Йорк, 1985, с. 28—29.

ამგვარად, ის „წიგნი“, რომელიც ნინომ ანგელოზისაგან მიიღო  
სახაშ საქართველოს სახლვარს გადმოლახავდა, წარმოადგენს კრისტიანული  
გვარ ხებართვას, რომ ქალმა წარმართულ ქვეყანაში ქრისტიანული  
სჯული იქადაგოს — ეს ხებართვა კი წმინდა ნინოს, როგორც ქალს,  
აქეს იძღვნად, რამდენადც უფლის მიწიერი ცხოვრების მანძილზე  
ქალებსაც გარევიული ღვაწლი გაულიათ და უფალს ისინი ამ ნიშნით  
გამოურჩევია. შეორე მხრივ, ნინოს ქადაგების უფლება მისი მოციქუ-  
ლთა სტორის სტატუსით მართლდება. თვით ეს აქტი — უფლის მიერ  
ნიხოსთვის „წიგნის“ გამოგზავნისა (წიგნი „დაბეჭდილი იყო იქსუა-  
სი“) — ნინოს მოციქულობის აღიარების ფაქტია. მოციქული ხომ  
იგვე წარგზავხილია (პარტიას). ქრისტიანობაში ამ სიტყვას უფლის  
მიერ წარგზავნილის შეისწერელობა შიანიჭია. „წიგნის“ გადაცემა კი გა-  
გზავნის აქტია. ამას „წიგნის“ სიტყვებიც აღასტურებს: „წარვედით  
და შომშოწაფენით ყოველნი წარმართნი“. ამგვარად, ნინო თვით უფ-  
ლის შეირ ყოფილა საქართველოში წარმოგზავნილი და, ამდენად, მისი  
მოვალეობა სხვა არაფერია, თუ არ მოციქულთა მისის შესრულება.  
ეს „წიგნი“ კი, რომელიც წმინდა ნინოს საქართველოში მოაქვს,  
შედარებულია შოსეს სჯულის „ფიცირების“, რომლებიც ლმერთსა და  
ხალხს შორის დადებული აღთქმის გამოხატულებაა. ნინოს ამ „წიგნის“  
დაბამარებით საქართველოში მოაქვს აღთქმა, „დაწერილი არა მელნითა,  
არამედ სულითა ლმრთისა ცხოველისათა, არა ფიცირთა შინა ქვისათა,  
არამედ ფიცირთა შინა გულისა კორცილისათა“ (II კორინთელთა  
3. 3).

აეთია „დაბეჭდილი წიგნის“ შინაარსი, მისი დატვირთვა თხზუ-  
ლების იდეურ მიზანდასახულებაში.

საინტერესო, რომ ასევე IV ს-ის შუახანების კიდევ ერთ ქარ-  
თულ ქრისტიანულ ძეგლში „ქებაა და დიდებაა ქართულისა ენისამ“  
წმინდა ხინო შედარებულია შარისმ — ლაზარეს დას. აქ ნათქვამია:  
„ახალშან ნინო შოაქცია და ქელენე დედუფალმან. ესე არიან ორინი  
დანი, კითარეთ მარიამ და მართაც“. მართალია, „ქებაას“ აეტორი წმინ-  
და ხინოსა და შარისმის სახეების დაწყვილებაში კიდევ უფრო მეტ  
შინაარსს დებს, ვიდრე „ნინოს ცხოვრების“ ავტორი, მაგრამ ამ ორი  
პიროვნების დაწყვილების თვით ეს ფაქტიც ორ სხვადასხვა თხზულე-  
ბაში ერთიან ქართულ ქრისტიანულ ტრადიციაზე მიუთითებს. ამ ტრა-  
დიციის შიხედვით, განძანათლებელი ქალის სახარებისეულ არქეტი-  
პად, თუ შეიძლება ასე ითქვას, მარიამ მაგდალინელი და მარიამი —  
ლაზარეს და — არიან, მიჩნეულნი, უფრო გვიან იგვე სიცილესი

ტრადიციაშ საქართველო და მისი განმეონათლებელი ნინო ლეთისმშობლის სახეს დაუკავშირი.

წმინდა ნინო და ლეთისმშობელი — ეს მოტივი „ნინოქვემდებრების“ გვიანდელ მეტაფრასულ და სვინჯვარულ რედაქციებში გვხვდება. ამ ცხოვრებებში წინ არის წამოწეული საქართველოს ლეთისმშობლის წილხედომილობის იდეა და სწორედ ამ გარემოებით არის ახსილი ის ფაქტი, რომ საქართველოს სწორედ ქალი — განმანათლებელი — წმინდა ნინო მოევლინა. შესაბამისად, აქ „წიგნი დაბეჭდილი“ თვისი ათი „სიტყუით“ შემოკლებულია და მისი მნიშვნელობაც შესაბამისად დამკრძალია.

## 2. „ნაძვი ლიტანეთ მოსული“

მცხეთის პირველი ქრისტიანული გვლესის — „წმინდაზოთას“ აგების დროს ძელი ცხოველის აღმართვა და მასთან დაკავშირებული სასწაულები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პასაჟია „ნინოს ცხოვრებაში“. როდესაც გადაწყვიტეს ეკლესის აშენება და მოკრეს ხე, ადამიანებმა ვერ შეძლეს ამ ხის ადგილიდან დაძვრა, ხოლო ღმერთმა სასწაული მოუვლინა ხალხს: ჩამოვიდა ზეცით „კაცი ნათლისა ფერი“, აიტაცა ცაში ძელი, რომელიც შემდეგ ცეცხლოვანი სახით დაუწევა ისევ შიწახე და დაემკვიდრა თავისსავე ადგილს, სადაც ეკლესის საფუძველი იყო დადგებული. ცხადია, ძელი ცხოველი, აღწერილი სასწაულების მიხედვით, განსახიერებს ცისა და მიწის კავშირს; ამიტომაც იხილა იგი მირიანბა, როგორც „ნათელი ვითარცა ელვამ შეცამდე აღწევნული სამოთხესა მას შინა“<sup>13</sup>.

ის ხე, რომლისგანაც ძელი ცხოველი შეამზადეს, თხზულების ამ ადგილას შოხეხიერულია, როგორც „ნაძვ ივი“: „და მექსეულად მოილეს ძელი და იწყეს შენებად. და მოქმედეთეს ნაძვ იგი და შემზადეს სუეტად და ძირთა მისთა ზედა დადგვეს საფუძველი ეკლესიისაა“<sup>14</sup>. ქ. კეკელიძის აზრით, ნაწარმოებში მანამდე არაფერია იმ ნაძვზე ნათევაში, რომელსაც თხზულების ამ ადგილს უთითებს ვეტორი. ამ გარემოებს შკვლევარი იმის ერთ-ერთ საბუთად თვლის, რომ „ნინოს ცხოვრებას“ ყვლია ის ნაწილი, სადაც იქნებოდა ამ ნაძვზე ლაპარაკი. ქ. კეკელიძეს შემჩენეული ჰქონდა თხზულებაში ნაძვების ხსენე-

13 მოქცევაშ ქართლისამ, გვ. 142.

14 იქვე, გვ. 138 (ხაზი იქცა და შემდეგ ჩვენია — ლ. პ.).

ბის დანარჩენი შემთხვევები, შაგრამ, მისი აზრით, ისინი ძელი ცხოველის ხადვთან არავითარ კავშირში არ არის<sup>15</sup>. მეცნიერის ამ აზრის გაზიარება გავირდება, რაღანაც „ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ნიშვნიის“, ისევე როგორც ძელი ცხოველის ხე, მარიან მეფის ბალში ისრდება. ამ ნაძვებს და მათ მახლობლად „საყუარლად შემზადებული“ ადგილის მიწას განპურნებელი ძალა აქვს, რაც მათ სიშმინდეზე მიუთითებს. ხანა დედოფლის ბიძის განკურნება „ნაძუთა მათ ქუეშე“ მოხდა<sup>16</sup>. ხინომ ანასტოს უშვილობისაგან განსაკურნებელი მიწა შეფის ბალის იმ ადგილიდან იღო, სადაც „ნაძუთა ქუეშე ბაბილონთა ადგილი არს ჭყირე საყუარლად შემზადებული“<sup>17</sup>, მეფის „სამოთხეში“ (ბალში) ხაძვებისა და მათ ქეშ არსებული „საყუარლად შემზადებული“ ადგილის საქალაქო მნიშვნელობაზე მეტყველებს, იგრეთვე, ხინოს სისმარიც, რომელიც ასეა თხზულებაში ოლწერილი: „მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილონსა მოისთულებდინ და ყუავილსა მას ძოვდიან და შოწლედ ჩემდამო ღლადებედ, რეცა ჩემი არს ს ამოთხე იგი“<sup>18</sup>. წმ. ნინოს ხილვის ასე განმარტეს სიღონია: „ჩუენებად შენი არს ესე, რამეთუ ადგილი ესე სამოთხისათ შენ მიერ იქმნეს სამოთხც საღიდებულად ღმრთისა, რომლისად არს ღიდებად აწ და მარადის...“<sup>19</sup>. ეს სიტყვები შიუთითებს, რომ ღვთის ნებით სწორედ ამ ადგილზე იქნება ამქვეყნიური სამოთხე. სიტყვა „სამოთხე“ აქ უკვე არა ბალის, არმედ ზეციური სამოთხის მნიშვნელობით არის ნაშმარი. ქრისტიანული სიმბოლიკით კი ტაძარი—ღვთის სახლი სახეო ზეციური სამოთხისა. ეს აზრი ასეა გამოთვემული ერთ აპოკრიფულ თხზულებაში: კელევისა „სახე არს უხილვისა მას საუკუნოსა სოფლისა ხილულისა, მას საწუთხოსა სოფლისა“<sup>20</sup>. მაშინადმე, „ნინოს ცხოვრებაში“ ამქვეყნიური სამოთხის, ღვთის სახლის, ტაძრის აშენების ადგილი ყოფილა მითითებული.

სწორედ მეფის ბალში მდგრად ნაძვის ქვეშ დაუმარხავს ელიოზს მას შეკრის მცხეთაში ჩამოტანილი უფლის კუართი. „ნინოს ცხოვრების“

15 ქ. კიკე ლ ი ძ 0, „მოქცევა ქართლისამ“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტერლენციები, გვ. 65.

16 მოქცევა ქართლისამ, გვ. 134.

17 მოქცევა ქართლისამ, გვ. 123.

18 აქვა.

19 იქვ, გვ. 124.

20 ქეკელიძე კ., ჟитие Агафангела, католикоса Дамасского. Христианский Восток, т. IV, вып. 3, 1916, с. 255.



ურცელ რედაქტირია ნათქვამია: „ხოლო ელიოზ და პმარხა და უკიდისადაც თუ და კელთა მისთა ქუხედა საშოსელი იგი. და არს აღგიფტებული რომელი ღმერთმან იცის და იცის დედმან ჩემმან ნინო და არა იტყვს, რამეთუ, არა ჯერ არს სიტყუად აწ. არამედ ესე ხოლო კმა იყავნ ნინოს მოწაფეთათვს და ქრისტის მორწმუნეთა, რამეთუ მა ხლობ ელ არს აღგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოსრულსა და შცენეთას დანერგულ სა 21. უფლის კვართის ნაძვის ქვეშ დამარცვის ტრადიციას მცირე სხვაობით იმეორებენ „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული და პერიფრაზული ვარიანტები<sup>22</sup>.

შაშასალამე, უფლის კვართი „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით სწორედ იმ ნაძვის ქვეშ ყოფილა დამარხული, რომელიც ეკლესიის აგების დროს შთავარ ბურჯად გამოუყენებიათ. ცხადია, რომ „ლიბანით მოსრულ“ ხახვს ცეხტრალური აღგილი ენიჭება მცხეთის „საკუალურ გეოგრაფიაში“, რადგახაც სწორედ მის ქვეშ დაუმარხევთ უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე და აქვე შენდება უპირველესი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია აზრი ამ ხის სიმბოლური მხიშველობის შესახებ. შცხეთისა და ზეციური იერუსალიმის ახალოვის შესახებ საუბრისას რ. სირაძე წერს: „შცხეთა სახეა ე.წ. ზეციური იერუსალიმისა“... „ზეციური იერუსალიმი“ ზეცაა, ქალაქიც და ბალიც, იგოვე „ლიმონარი“, „პარადეიდო“ (ახდა აღმოსავლური „ბუსთანი“) ანუ „საძოოთხე“... ქაურობის არც „ცხოვრების ხე“ აკლია და არც ზეციური სულიერების განმასახოვნებელი ფრინველები<sup>23</sup>. იგივე ნაძვზე ასე წერს გ. ნარსიძე: „ეს „სასწაულთმოქმედი“ საგანი პირდაპირი ანარეკლია ასოცილისური „ძელი ცხორებისას“, რომელიც „ზეციურ იერუსალიმში“ იყო აღმოცენებული<sup>24</sup>.

როგორც ვხედავთ, შცხეთისა და იერუსალიმის, ბალისა და სამოთხის, ნაძვისა და „ძელი ცხოვრებისას“ სიმბოლიკა უკვე გარკვეულია. დასახუსტებელია მხოლოდ, თუ რატომ არის ხაზვასმული ნინოს ცხოვრებაში, რომ ეს ხე იყო „ნაძვი ლიბანით მოსრული“. ანალოგისათვის ისევ ბიბლიის მივმართოთ.

21 მოქცევაშ ქართლისათ, გვ. 129—130.

22 ასენ ბერი, ცხოვრებათ ნინოსი, ქველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბ., 1971, გვ. 33; ცხორებათ ნინოსი, იქვე, გვ. 70—71.

23 რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 84.

24 გ. ნარაძე, ქებათს ისტორიული პარალელები, გვ. 146.

ლიბანის კედარი ხშირად გვხვდება ძველი აღთქმის წიგნებში. ეს საკმაოდ ცნობილი წიწვოვანი ხე დღესაც გამოსახულია ლიბანის დრო-შახე, მისი ებრაული სახელწოდება (ērez, ბერძნული — cedros, ლა-თინური — cedrus) ქართულად ყოველთვის ერთნაირად არ ითარგმნება. ქართული ბიბლიის შესაბამის ადგილებში ჩვენ ვხვდებით ამ ხის შეძლევ სახელწოდებებს: ნაძვი, ფუძვი, კვიპაროსი, ლიბანის ძელი, კედარი.

ლიბანის კედარს იყენებს სოლომონ მეფე იერუსალიმის ტაძრის ასაშენებლად. აქ სჭულის კიდობაზე იუდეველთა უდიდესი სიწმინდე — ფიცარნი სჭულისაზი ინახებოდა. სოლომონის მიერ აშენებული ტაძრის ამ ადგილს ეწოდებოდა „წმიდათა წმიდა“, რომელიც სამლოცველოსაგან კედარის კედლით იყო გამოყოფილი. იერუსალიმის და მცხეთის „წმიდათა წმიდის სიმბოლური იგივეობის შესახებ საკათად ითქვა<sup>25</sup>. რ. სირადე ამის შესახებ ამბობს: „გამოდის, რომ სვეტიცხოველის ტაძარი იმეორებდა სოლომონის ტაძარს. სვეტიცხოველის სასწაული თვით იყო ღვთის გამოცხადების ნიშანი“<sup>26</sup>. ლიბანის კედარი არის როგორც იერუსალიმის, ისე მცხეთაში აშენებული ტაძრის საშეხი შასალა. ეს გარეშოებაც, კვიქრობთ, კიდევ ერთხელ ადასტურებს მათ სიმბოლურ იგივეობას.

ლიბანის ნაძერი მირიანის „სამოთხეში“ დგას და სამოთხის ხეს, ზე-ციური იერუსალიმის შუაგულში ოღონცენებულ „ძელი ცხოვრები-სამსაც“ განასახიერებს. რამდენად შესაძლებელია, რომ ლიბანის კე-დარი სამოთხის ხედ იქნეს წარმოლგვინილი?

ლიბანის კედარი ყველაზე მაღალი, ყველაზე ლამაზი ხეა ბიბლიაში. ესაიას წინასწარმეტყველების მიხედვით, როდესაც დადგება ღვთის უკანასკელი და როდესაც ღმერთი ყოველგვარ ადამიანურ სიმაღლეს დაამდაბლებს, უპირველესად ის ლიბანის კედარს დასცემს (ესაია 2, 12, 13). ლიბანის კედარი თავისი სიმაღლის გამო ყოველივე განდედებულის სრმძოლოდა წარმოდგენილი ბიბლიაში: „დველი დროს ძლიერი დაპყრობები, ასირიელი დესპორები, ეგვიპტელი ფარაონები, იუდეველთა კერძთაყანისმცემელი მონარქები, თვით ებრაული საზოგადოება, პატრიარქალური დროის შემჩრმლი აძოხიტები. შესა-

26 రు. సిరింగ్, రాజీవ్. నాయకరమి, 23. 88.



ნატური ხანის შორალური სიმძლავრე — ყოველივე ეს შედარებულია ტანგალალ კედარს შისი ხელმწიფური სიღიაღისა და უზენაესობრივი ბის გამო<sup>27</sup>.

ეზეკიელის წიგნში ასურის სიღიღე კედარის ხესთან არის შედარებული. „ამა ასურ-კუპაროზი შორის ლიბანისა, და კეთილ რტიობითა, და მაღალ სიღიღითა და ქშირ ჩრდილითა და საშუალ ღრუბელთა მთავრობამ მისი“ (ეზ. 31, 3). ლიბანის ნაევი სამოთხის ხეცაა: „კუპაროზი ეს ვითარ სამოთხ ესა შინა ლმერთისა ა, და პიტუნი არა მსგავს იყვნებს ბაბილონთა მისთა, და სოჭნი არა იქმნეს მსგავს მორჩითა მისთა, ყოველი ხე სამოთხ ესა შინა ლმრთის ა ა ა არა ემსგავსა მას სიკეთესა შინა შისსა“ (ეზ. 31, 8).

შოვანილი ჰაგალითებიდან ჩანს. რომ ლიბანის კედარის „მოქცევას სეული“ სიმბოლიკა საქსებით შეესატყვისება მის ბიბლიურ გავების. ამის შემდეგ სრულიად ლოგიურად გვეჩენება, რომ სამოთხის ხის ახალოგად შცეთაში სწორედ ლიბანის კედარი იყო წარმოლგვენილი. ლიბანის კედარის მნიშვნელობა ძეველი აღტემიდან ქრისტიანობას თავისებურად გადამოურია. ესაა წინასწარმეტყველის სიტყვები: „და დიდებად ლიბანისა შენდა შოვიღეს საროვასა მიერ და ფიჭვა და ნაძესა ერთბამად დიდებად ადგილი წმიდად ჩემი და ადგილი ფერეთა ჩემთა ვადიღო“ (ესაია 60, 13), ზოგიერთი ეგზეგეტის მიერ დაკავშირებულია ქრისტეს ჯვარულისთან, რადგანაც ქრისტიანული კვლესია მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ხისგან იყო ქრისტეს ჯვარი შემზადებული<sup>28</sup>. იგივე ტრადიცია დასტურდება ალექსანდრე კვიპრელის ქრისიაში: „რამე უკუც იყოს უცხადეს მისსა, რომელი — იგი თქუა: საროვათა, ფიჭვთა და ნაძეთა ერთბამად იდიღოს ადგილი წმიდად ჩემი? და რაშეთუ საშებამნ წმინდაშან, სწორმან ბუნებითა ერთითა, გუამითა შისითა და განაგო ცხორებად კაცთა ჯუარითა და ცემბარიტად საკურველად ძლევისა მომცა ჩენ სამთავან ძელთა შემზადებული ჯუარი, ეითარცა სამ სახელთავან — საროვას, ფიჭვა და ნაძესა საღიღებლად დაგილისა წმიდისა“<sup>29</sup>.

თი, რას შოვანისტებობს ძველი წარმოშობის ერთი პოკრიფული კითხვა-შიგება: „ოდეს დავითს კიდობაზი სჯულისა შოქუხდა სახლი-

<sup>27</sup> Illustrated Bible Dictionary. M. G. Easton. London. Edinburg and New York, 1893, p. 132.

<sup>28</sup> Толковая Библия, т. V, СПб., 1908, с. 516—517

<sup>29</sup> ალექსანდრე კვიპრელის ქრისია, თმ., 1979, გვ. 39.

თა ამინადობისათა იურუსალიმად სამნი მორჩიუნი ეპირეს კელთა. ერთი ხარისხისა, ერთი ფერვისა და ერთი ნაძვისა... და ვითა მოიწია აღგორუსა როგორსამებე ერთსა სამნივე ერთბამად დაპნერგნა და საღმრთოოთა წამისყოფითა ერთად შეიერთნეს და ოლიზარდეს და იქმნეს ხე გაღალ და შეუნიერ. ოდეს სოლომონის ტაძარსა აშენებდეს მაშინ მოკურეოს ხე იგი ტაძრისათვის. განგებულებით დარჩა ტაძარსა გას შინა და რა-ჭამს შოიშია ვეზმა ქრისტესი, მაშინ განკურეოს და მას ზედა ჯუარსა აცურეს უფალი ღმერთი ჩუენი<sup>30</sup>. სწორედ შიბლიური და ქრისტიანული ტრადიციების შეერთებას წარმოადგენს ეს აპოკრიფული თხზულება, სადაც კედარი როგორც სოლომონის ტაძარს, ისე ქრისტეს ჯვარს უკავშირდება. „ნინოს ცხოვრება“, როგორც ჩანს, თავისებურად იაზრებს ლიბანის კედარის სიწმინდეს. მისთვის მცხეთის წმინდათა წმინდა აღგილი, როგორც სოლომონის ტაძრის ანალოგით, ისე ქრისტეს კვართის სიწმინდით არის განსპერავებული და აპლენად სწორედ ამ აღგილას ეგვიპტის ლიბანის კედარის არსებობაც.

„შოქცევა ქართლისამ“ ცელიშურ ვარიანტში, „ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქციაში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ მცხეთის „ქუმორ“ ეკლესია იყო ხისა: „და მსწრაფლ ალაშენა ეკლესია ქუმორ სამორთხესა შიხა, დ კ ლ ი ს ა მ, და სუეტი იგი პატიოსანი, რომელი თვით აღეძართა“<sup>31</sup>. შესაძლებელია, რომ „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ეკლესის შენებლობის სიმბოლურად გაღმოცემული სურათი იმასვე გულისხმობს: კერძოდ, რომ „ქუმორ“ ეკლესია აიგო ხასგან, ეს ხე კი იყო ლიბანის კედარი. ლიბანის კედარი ძევლად განთქმული იყო, როგორც შესანიშნავი საშენი მასალა თვისი სიმკვრივის, გამძლეობის, ულპობალობისა და ლეროს სიძალის გამო. პლინიუსი ამბობს, რომ ეფესოში მდგარი დიანას ტაძრის კედარის სახურავმა გაძლო 400 წელიწადი, ხოლო უტიკაში ამოლონის ტაძრისამ — 1170 წელი. ეს ხე განსაკუთრებით გამოსაღევი ყოფილა სვეტებისა და ბოძების შენებლობისათვის. ამავე დროს, ლიბანის კედარი სავსე ყოფილა სურხელოვანი და განპყურნავი თვისებების მქონე წვენით, რომელიც ზის ქერქის მცირედი დაზიანების შემთხვევაშიც უხვად ეონივდა<sup>32</sup>. ლიბანის კედარის ეს თვისებები ეთანხმება იმ ლეგენდას, რო-

30. К. Կեկալիձ. Հիւն Ագաֆանելա..., с. 253—255.

31. შოქცევა ქართლისამ, გვ. 84.

32. Dictionary on the Bible, Edited by J. Hastings, Vol. I. New York, 1906, p. 364—365.

შელიც სვეტი ცხოველის მოჭრისა და ქედან მაცოცხლებელი წვენის გადაწოვლის შესახებ არსებობს. ყოველივე ამის გამო სავსეპით და მაჯურებლიდ გვეჩენება „შოქცევა ქართლისას“ ცნობები შეუტიც პირველი ქრისტიანული ეკლესის აგების შესახებ.

გამოდის, რომ ლიბანის ნაძვს ორმხრივი მნიშვნელობა აქვს „შოქცევა ქართლისასში“. სულიერად ის სამოთხის ხეს, აღოვალისურ „ძელი ცხოვებისას“ გახასახიერებს და იერუსალიმის წმიდათა წმილა ტაძარს უკავშირდება, მატერიალურად კი ეკლესის საშენ მასალად წარმოგვიდგება.

### 3. „ხალენი ელიაზი“

„შოქცევა ქართლისაში“ ქართლის გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ ამბავთაგან დიდი ყურადღება ეთმობა უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანისა და მისი დამარხვის ისტორიას. ავტორის თვალსახრისით, ქართლის შოქცევა მნიშვნელოვანწილად სწორედ უფლის კვართში გახაპირობა. მისმა კვალშა მოიყანა ნინო მცხეთაში, მისი სასწაულთმოქმედების ძალით აღიძართა „ძელი ცხოველი“ და აშენდა პირველი ქრისტიანული ტაძარი. „შოქცევა“ გვამცნობს, რომ მცხეთაში კიდევ ერთი ასეთივე „ძალით შემოსილი“ სამოსი — ელიას ხალენი არის დამარხული. შიუხედავად მისა, რომ ამ სამოსის შესახებ მეტად ძუნწი ცნობებია დაცული თხზულებაში, მისი მცხეთაში დამარხვა შეიძლება ისეთივე საკრალური მნიშვნელობის ფაქტად მივიჩნიოთ, როგორც უფლის კვართის არსებობაა. ამას ორი გარემოება გვაფირებინებს:

1. ელიას ხალენის „სამარხო“ აღგილი თხზულებაში „იაკობის აღგილთას“ არის „შედარებული და ამით უდავოდ მისი განსაკუთრებული შხიშებელობაა ხაზგასშული. სიღონია ელიოზის შიერ კვართის მცხეთაში ჩამოტანის ამბავს შოვეითხრობს და შემდევ დასძენს: „არს სხვაც ძალითა შემოსილი, მრჩინბლი იგიცა, ხალენი ელიასი ამას ქალებსა შიხა. ჰელთა ჩუეხთა, საკურთხევლისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შიხა ულპოლეველი ვიღრე ეამამდე მისა“<sup>33</sup>. აქეე აღნიშნულია, რომ, შიუხედავად ნინოს დიდი სურვილისა, აბიათარშა არაუერი თქვა სამოსის აღგილმდებარეობის შესახებ და მხოლოდ ამგვარი სიტყვის წარმოთქმით დაქმაყოფილდა: „აქა არისო აღგილი სამარხო მისიო,

<sup>33</sup> შოქცევა ქართლისად, გვ. 130.

რომელსა ენანი კაცთანი არა დაღუმნენ გალობად ღმრთისა მიმართ,  
შას ზედაც არს ადგილი იგი, კითარცა ადგილი იყობისი კიბუცის  
ლული და ზეცად ოწევნული მიერითგან და უკუნისამდე, დიტება და  
ქება შოუკლებელ<sup>34</sup>. „იყობის ადგილი“ ბიბლიაში ღვთაებრივი მად-  
ლის ძიწაზე გადმოსვლისა და ციხა და შიშის ურთიერთგაფშირის ში-  
ძანიშებელი შიხარსით არის დატვირთული. ამ ადგილს იყობმა  
„სახლი ღმრთისა“ და „ბჭე ზეცისა“ უწოდა. ამგვარად, აბიათარის  
ზემოთ მოყვანილი სიტყვები ელის ხალენის საკრალურ მნიშვნელო-  
ბაზე მიანიშნებს.

2. თხზულებაში შეინიშნება გარკვეული ანალოგი უფლის კვარ-  
თსა და ელის ხალებს შორის. ზოგ შემთხვევაში ისინი ერთმანეთის  
გვერდით შოთხესხიერიან. მაგალითად, წმ. ნინო მეფე მირიანს ეუბნება:  
„ხოლო აწ, მეფე, ახლოს არს მიახლებათ შენი ღმრთისა“. დასტურად  
კი, შცხეთაში ერთი სასწაულის არსებობა შოაქვს (სასწაული — ნი-  
შახი, ხში, შოთხესხიერი ნიშანი): „მე ვხედავ, რამეთუ არს ამას  
ქალაქსა სასწაული ერთი, სამოსელი ძიხა ღმრთისამ, და ხალენისა მის  
ელიასა ყოფად ვითომე აქა თქუეს, და მრავალნი სასწაული არიან აქა,  
რომელი თვით ღმერთმან გვაუწყეს<sup>35</sup>. ხოლო მთავრეპისკოპოსი მი-  
რიან მეფეს ასეთი სიტყვით მიმართავს: „შენ თანა არს ამას ქალაქსა  
შინა სამოსელი ქრისტესი ყოლად ზეგარდმო ქსოვილი... ეგრეთვე ხა-  
ლენი ელიასი აქვე დამარხულ არს“<sup>36</sup>.

შაშასადაბე, „ხალენი ელიასი“ თავისი არსით ისეთივე ღვთიუ-  
რი სასწაულია, როგორც უფლის კვართი. უფლის კვართი დაფარულია  
და უხდა გამოჩნდეს, რადგანაც ის ღმერთის მინიშნებაა, მომასწავე-  
ბელი ხშანია და ამიტომ უნდა დაადასტუროს ღვთის მიერ წინასწარ  
განპირობებული რაიმე მოვლენა. უფლის კვართის ამგვარ „გამოჩნად“  
„შეიძლება შიგიჩნიოთ ძელი ცხოველის სასწაულებრივი აღმართ-  
ვა, რომელიც ქართლის შოქცევისა და ახალი ქრისტიანული უამის და-  
დგოძის შიხეზი გახდა. ქართლის მოქცევა თხზულების მიხედვით ხომ  
ღვთის მიერ წინასწარ, „პირველადვე“ იყო განსაზღვრული. როცა  
მირიან მეფემ კვართის შცხეთაში არსებობის ამბავი შეიტყო, წარმო-  
თქვა: „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო  
ცხოველისაო, რამეთუ შენ პირველვე გვენება კსნაა ჩუენი ეშმაკისაგან

34 მოქცევად ქართლისამ, გვ. 130.

35 იქვე, გვ. 133.

36 იქვე, გვ. 87.

და აღგილისა შესვან ბრულისა, ოდეს იგი სამოსელი წარმოეც ეპიკ-ელით ამათ წარიღით ქალაქით იერუსალემით, უცხოთა ამათ ნატესავთა ქალაქით, რაშეთუ ჯურულისა შენსა ამის ქალაქისა მამანი ჩრდენი ზე-ფრადდესამ.

ელიას ხალენი ისეთივე სასწაულია, როგორც უფლის კვართი, ძეგრამ შისი გამომულავნების დრო ჯერ არ დამდგარა, ის შენახულია „უკიდურე უაძადმე მისა“ ბოლო, თუ რისი მომასწავებელია ელიას ხა-ლენი და როდის დადგება „მისი უძინ“, ამას თხშულება მხრლოდ მი-ნიშნებით ვეუბნება.

აღსანიშნავია, რომ არც ხალენის სამარს აღგილზე არის პირდაპი-რი მითითება თხშულებაში. თუმცა ვიცით, რომ ის არის მცხეთაში — „ამის ქალაქის „შინა“ და „საკურთხევლისა სიმტკიცესა ქუეშე, ქვათა შინა ულჟულელად“. კერძოდ, რომელი საკურთხევლის ქუეშ არის სახოსი დაბარისული, — თხშულება ას გვიმჩეულს. ძეგრამ არის „მოქ-ცევამში“ ერთი აღგილი, სადაც აღნიშნულია, რომ ამიათარი მეფეს ბაგინის „შეხარ ჩუხების ურჩევდა. „ხოლო ბაგინისათვის იძულებდა მე-ფეზა, რამთა არა შეძრან ნაშენები იგი მისი, არამედ რამთა შესძინოს ამშეხებამ, რმეთუ ვიდრე არღა გამოჩინებულ იყო ახალი მადლი ქუეყახასა ამას, შენ შინა იყო დიდებული სახელი საკუნოსა მის ღმრთისამ, და ერჩდა შეფუტ მისთა დღეთა და იყუნეს შენ შინა ელიო-ზის ნათესავენ შლილად ჰურიათა ზედა“<sup>37</sup>. მაშასადამე, ამიათარმა შეფე დაიყოლია ასა მარტო შეენარჩუნებინა ბაგინი, არამედ კიდევ უფრო უკეთ აღეშენებინა იგი. ამ მნიშვნელოვანი ფაქტის ასახსნე-ლად აქ მოყვანილი მიწეზი ძალზე ზოგად მითითებად შეიძლება ჩაი-თვალოს. სავარაუდოა, რომ სწორედ ამ საკურთხევლის ქუეშ ყოფილ-ყო ელიას ხალენის არსებობა ნაგულისხმევი. ამ ვარაუდის მიუხედავად, ფაქტია, რომ თხშულებაში ამის შესახებ პირდაპირ არათერია ნათქვა-მი.

დავუბრუნდეთ დასმულ კითხვას: რომელი „უამის“ დადგომის მო-მასწავებელი უხდა იყოს ელიას ხალენის მცხეთაში არაებობა-დამარ-ხვა?

ელია ერთ-ერთი ბიბლიური წინასწარმეტყველია. მის სახელთან დაკავშირებულია ბაალის კულტის მსახურთა წინააღმდეგ ბრძოლა და ებრაელთა იაპეს რწმენისაკენ შემობრუნებისათვის მოლვაწეობა. ელიას

37 მოქცევად ქართლისამ, გვ. 87.

38 იქვე, გვ. 152.

გარშემო აღწერილ იაპეს სასწაულთაგან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია უკახასკებელი — იაპეს შეირ ელის ცაში აყვანა. ელიამ ჰალისტერია თან ერთად გადალახა იორდანე, რომელიც სასწაულთმოქმედი პლეისტოცენის ხის დადებისას ორად გაიპო. შემდეგ ელის მოვლინა იაპეს ცეცხლოვანი ეტლი, შეი ცეცხლის ცხენებით შეძმული და ცაში აიტაცა წინასწარმეტყველი. ზალენი კი ჩამოძერა მას ტანიდან და ამგვარად დარჩა ის დედაბიწაშე. „და აღილო ელისე ზალენი იგი ელიასი, რომელიც დაეცა შის ზედა, და შოიქცა ელისე და დადგა კიდესა იორდანისასა“ (IV მუ. 2, 13).

ხავს ამ ტრადიციას შისი გახვითარების შედარებით აღრეულ ფაზაში,  
როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო აღღვმიდან მარტვილამდე 50-  
დღიანი დღესასწაულის აღწმი, როგორც ერთიანი სადღესასწაულო ფა-  
მისა<sup>23</sup>.

ეს პერიოდი შართლაც იქხებოდა სადღესასწაულო ხანა, რადგან  
ძეგლის ვეტორი მშვენივრად ვეიხატავს იმ განტყობას, რომელიც  
მთელს ხალხში სუფევდა როგორც ხის მოჭრის ღროს, ისე ჯვრის ბორ-  
ცვეზე ატანისა და აღმართვის პერიოდში. გავინსენოთ, როგორ არის  
აღწერილი ამ რიტუალის დასაწყისი იაკობის შოთათხრობ თავში:  
„და იყო რაეამს შოეკუეთა ხს იგი პატიოსნისა და ძლევის მყოფელი-  
სა ჯუარისათ და მოქუნდა იგი ათს ა ათ ე უ ლ ს ა კ ა ც ს ა ხ ს ზ ც  
რტოითურთ და ფურცლით შე მ ა ქ უ ნ დ ა ქ ა ლ ა ქ ა დ დ ა  
შ ი ს ტ კ დ ე ბ თ დ ა ე რ ი იგი მწუანის ფერობას. მას და ფურ-  
ცლიანობასა...“<sup>24</sup>. ამ დღიდან, ე. ი. 25 მარტიდან ჯვრების აღმართვის  
რიტუალის დასასრულამდე — 15 მაისამდე, ჯერ ხე და შემდეგ მისგან  
შექმნილი ჯვრები ხალხისთვის შისაწვდომ ადგილის ესვენა ჯერ ეკ-  
ლესის სამხრეთ კედელთან, შექდევე კი თვით ეკლესიაში, ამიტომ

22 კ ა ვ ა ლ ი ძ ე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი, ეტიულები,  
წ. I, გვ. 127; მიხევ, იერუსალიმის კანონა, ც. 18—19.

23 Dictionnaire D'Archaeologie Chretienne et de Liturgie, I, 2-me partie,  
Paris, 1907, pp. 3936—3939.

24 მოქცევა ქირთლისათ, გვ. 147.



ისინი საერთო სახალხო თაყვანისცემის ობიექტები იქნებოდა. ამგვაც რად, 25 შარტიდან 15 შაისამდე დროის მონაკვეთი ერთიან საფულებელი სასწაულო პერიოდად უნდა ჩაითვალოს, რომლის დროსაც მთელი მთავრობა სახლეობა ჩაითულია საკრალურ დროში და საერთო სახალხო ჯვრის თაყვანისცემა მიმდინარეობს.

ამგვაცრად, 25 შარტს — პარასკევის ხის მოჭრა და შემდეგ მისგან ჯვრების შემზადება და აღმართვა 50 დღე გრძელდებოდა ერთი მხრივ იძის გამო, რომ ასესპონდა ტრადიცია ქრისტეს 25 მარტს ჯვარცმის შესახებ, ხოლო შეორე შბრივ — დარჩენილი იყო ხსოვნა 50-დღიანი პეტერებისტის როგორც ერთიანი სადღესასწაულო პერიოდის აღნიშვნისა. ეს პერიოდი ღვთისშასხურებაში აღქმულია, როგორც ქრისტეს შევდრეთით აღდგომის, მისი ამაღლებისა და სული წმიდის გარდა-შოსვლის სადღესასწაულო ცეკვი. ეს ცეკვი ქრისტიანობის კველაზე მნიშვნელოვანი, და იმავდროულად კველაზე აღრეულ დღესასწაულებს შეიცავს. ეს დღესასწაულები წარმოადგენს იმ დღეთა ხსოვნას, რომლებიც ფაქტობრივად ქრისტეს მრავალსი ქვეყუთხედია. ქრისტიანობის პირველ საკუთხევებში ახლადმოქცეულები სწორედ ამ პერიოდში ინათლებოდნენ, რაღაც ნათლობა ქრისტესთან თანადათლვისა და მისით აღდგომის სიმბოლო და ნიშანი იყო. ჯვრის აღმართვაც, როგორც ჯვარცმულის აღიარება, ქრისტესთან ზიარების და მასში აღდგომის სიცოცხლისა და დიდების მოპოვებას ნიშავს. სწორედ ამიტომ, ჯვრის აღმართვა შეცემაში ერთგვარი გამოირჩება, შესრულება იქნებოდა იმ გზისა, რომელიც შაცხოვარშა განვლო ჯვარცმიდან ამაღლებამდე. და რომლის შალლიც კაცობრიობას აღდგომიდან 50-ე დღეს მოციქულებზე სული წმიდის გარდაშოსვლით შეიხივა. ებრაული პასექის 50-ე დღეს პეტერებისტის დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილ მოციქულებზე გადმოვიდა სული წმინდა, რომლის ძალით მოციქულებს „ენმეცნიერება“ მიენიჭათ (ისინი სხვადასხვა ენებზე ამეტყველდნენ), რათა შათ ქრისტეს აღდგომა აუშეობ კვეყნიერებას და ხათლისლებითა და ზიარებით ხსნა შოუპოვონ მას (საქმე მოციქულთა, II). მოციქულთა საკრებულოზე სული წმინდის გადმოსვლა ქრისტიანულ აზროვნებაში ერთმნიშვნელოვნად გაიაზრება, ქრისტიანული ეკლესიის, როგორც შევდრეთით აღდგომის სიღმუმლოს მოწამებრივი მისის მქონე საკრებულოს დასწყისი. უხდა ვიფიქროთ, იგივე იდეა უდევს საფუძვლად შეცემაში ქრისტიანული ეკლესიის დასაბამს, რომელიც ზეციდან „ჯუარი ცეცხლისამს“ გადმოსვლითა და შემდგომ ჯვრის აღმართვით აღინიშნა.

ამგვარიად, შცხეთის ჯვრის აღმართვით თხზულებაში სიმბოლიზე  
ბულია ქრისტიანული ეკლესიის დასაწყისი, მისი საბოლოო გამარჯვერთება  
ბა საქართველოში.

იაკობის შეირ აღწერილ თავში თითქოს მოსალოდნელი იყო ამ  
სიმბოლიკის ხაზებამა და აშკარა დეკლარირება; მაგრამ აქ საპირისპი-  
რო ვითარებას ვაწყდებით — იაკობი ჯვრების აღმართვის საღლესას-  
წაულო ტკუნის აღწერისას, ზემოხსენებულ ქრისტიანულ დღესაწაუ-  
ლებს საერთოდ არ ახსენებს, შეტიც. მის თხზულებაში ვერცერთხელ  
უკარ ვევდებით უფლის დღის — კვირის ან ზატიკის (აღდგომისა და  
შისი შობდევნო კვირა დღეების სულთოფენიბამდე სახელწოდება)  
ხსენებას, შეუხედავად იმისა, რომ იაკობი ახსენებს პარასკევს, შპათს,  
უაბათის მომდევნო დღეს — „ხვალისა დღე“. ჯვრების აღმართვის რი-  
ტუალის კალეხდარული მნიშვნელობის შეფარვით, ავტორი აღწერი-  
ლი აბებების შიძრავთ თითქოს მის ნეიტრალურ დამოკიდებულებას უს-  
ვაძს ხაზს; რის შედეგადაც მცხეთაში ჯვრების აღმართვის დრო-ეამის  
ეს საკრალური შესაბამისობა „სასწაულის“ ანუ მომასწავებელი ნიშ-  
ნის შეიშხელობით იტეირთება და ჯვრების აღმართვისა და საერთოდ  
ქართლის გაქრისტიანებას ლვთაებრივი ნების აღსრულების სახე ეძ-  
ლევა.

„ნინოს ცხოვრების“ იაკობის შეირ აღწერილი თავის „პატიოსნი-  
სა ჭუარისათვეის“ განხილვამ დაგვანიხა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს  
თვეითმიწოდებულის შეირ აღწერილ ჯვრის აღმართვის რიტუალთან. ეს  
რიტუალი პეხეტვისტის 50-დღიანი დღესასწაულის ქარგაზეა აგებუ-  
ლი, ის გააზრებულია როგორც ქრისტიანობის საბოლოო გმარჯვები-  
სა და ქრისტიანული დრო-ეამის დასაწყისის სიმბოლო მცხეთაში. „ნი-  
ნოს ცხოვრების“ ამ შონაკვეთს ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას  
ვანიჭებთ, როგორც მცხეთის IV ს-ის დასაწყისის საღვთისმსახურო  
პაქტიკის ანარეკლს.

ამის შემდეგ არ უნდა იყოს ინტერესმოქლებული ამავე ფაქტის —  
შცხეთაში ჯვრის აღმართვის ამსახველი „ნინოს ცხოვრების“ კიდევ  
ერთი (შენახარდი) თავის განხილვა, რომელიც დასათაურებულია ასე:  
„აღმართებად პატიოსნისა ჭუარისა მცხეთისათ და მერმე კუალად გა-  
შოჩინებაა“.

ამ ორ თხზულებას შორის მსგავსებისა და განსხვავების გამოვლე-  
ნა მხიშებელოვანია, როგორც ამ თხზულებათა ურთიერთმიმართების  
დაღვენის თვალსაზრისით, ისე მცხეთის ჯვრის აღმართვის დღესაწაუ-

ლის რაობისა და შისი წარმომავლობის საკითხის გასარევევად. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, „აღმართებად პატიოსნისა ჯუარისა შტეფისათ და მერმე კუალად გამოჩინებად“ „მოქცევად ქართლისას“ შხოლოდ ერთ რედაქციაშია დაცული და ცალკე საკითხავის სახითაა შესული, აგრეთვე. კლარჯულ მრავალთავში. ეს თხზულება „ნინოს ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს. მ. ჩხარტიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით სავსებით სამართლიანად აღნიშნავს: „აღნიშხული შეხახარდი თავის განხება „ცხოვრებაში“, თუ არა თაღაც განსაკუთრებული მოთხოვნილება ამ ჯვრის საკითხის საგანვებო გაშუქებაზე, აუსსხელია. „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ჯვრის აღმართვის და შისი სასწაულების შესახებ ვრცლად საუბრობს იყობ მღვდელი. ამ აბბავს უბრუნდება მირიანიც. ასე რომ, ამ თავის საჭიროება არც კოდპოზიციურად და არც შინაარსობლივად არ არის<sup>25</sup>. შეძლვობი შეჯელობით შევლევარი მიღის იმ დასკვნამდე, რომ ეს შენახარდი თავი არის პროდუქტი კახტანგ გორგასლის ეპოქისა, რადგან „ვახტაგის ცხოვრებაში“ არაერთგზის არის ხაზგასმული მეფის განსაკუთრებული იხტერესი როგორც საერთოდ მირიანისა და წმ. ნინოს მოღვაწეობის მიმართ, ისე კერძოდ წმ. ჯვრის მიმართ, რომელსაც „აღმართებამშიც“ და „ვახტანგის ცხოვრებაშიც“ მსგავსი სიმბოლური თუ ფუნქციური დატვირთვა გამოჩინავთ<sup>26</sup>.

შართლაც საინტერესოა, თუ რა იყო ის განსაკუთრებული მოთხოვნილება, რომელსაც ვერ დააქციონილებდა იყობის ასეთი დაწვრილებითი აღწერა შტეფის ჯვრის აღმართვის ამ ლირსშესანიშნავი შოვლებისა? რა არსებითი განსხვავებაა ამ ორ თხზულებასა და მათ შეირ ამ მოვლენის ინტერპრეტაციაში?

1. თუ იყობი თავის თხრობის პირველ პირში გადმოგვცემს, ისევე როგორც ეს „ნინოს ცხოვრების“ დანარჩენ თავებშია, „აღმართებად“ მოთხრობილია შესახებ პირთ და ამით სრულად ამოვარდნილია „ნინოს ცხოვრების“ საერთო სტილისტიკიდან.

2. თუ იყობი შტეფთაში და მის მატლობლად სამი ჯვრის აღმართვის შესახებ გვიძლობს, „აღმართებად“ შხოლოდ მცხეთის ჯვრის აღმართვას ეხება. გარდა აშისა, „აღმართებად“ ახსეხებს მცხეთის ჯვრის „კუალად გაშოჩინების“ ამბავს, ასეთ რამეს კი იყობი არ იცნობს.

25. მ. ჩხარტიშვილი, ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმულნეობითი შესწავლის პრობლემები, გვ. 85.

26 იქვე, გვ. 85—89.

3. თუ იაკობის შიხედვით, ჯვრების აღმართვის თარიღები მოცე-  
მულია კალებდრის რიცხობრივი მაჩვენებლებით (25 მარტი, 1 მარტი,  
7 ძალი), „აღმართებაში“ ჯვრის აღმართვის დღე ათვლილია აღდგო-  
მის პასქალური ციკლის მიხედვით. კერძოდ, მცხეთის ჯვარი აღმართეს  
„აღდგომისა ზატიქისა ზატიქისა“, ხოლო მისი „კუალად გამოჩინება“  
მომხდარი „მარტვილისა უკუანა დღესა ოთხშაბათსა“.

4. „აღმართებაში“ აღნიშნულია, რომ აღწერილი მოვლენის შემ-  
დეგ დაწესდა მცხეთის ჯვრის აღმართვის დღესასწაული ვიდრე „დღე-  
ხდელად დღემდე“. ჯვრის დელსასწაულის დაწესებაშე იაკობი საერ-  
თოდ არაფერს ამბობს. მით უმეტეს, მისთვის უცხოა ამგვარი  
დროული იხტერვალის არსებობა აღწერილ ამბებთან, როგორსაც გა-  
მონათქვამი: „კიდრე დღენდელად დღემდე“ შეიცავს.

მიუხედავად ჩამოთვლილი ძირითადი განსხვავებებისა, აშენად  
საგრძნობია, რომ „აღმართებას“ ავტორისათვის აძრავალი წყარო  
იაკობის მიერ აღწერილი ამბავია — „პატიოსნისა ჯუარისათვის“. ამ  
განსხვავებათა განჩრების შედეგად უნდა ითქვას შემდეგი: თუ იაკო-  
ბის შიზანი გარკვეული კულტურულ-ისტორიული ფაქტის აღწერაა,  
ისეთი ფაქტისა, რომელიც ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში ახალ ეპოქას  
წყვებს, „აღმართებაა“ უფრო მცხეთის ჯვრის დღესასწაულის დაწე-  
სების შესახებ შოგვითხრობს. თბილულების ავტორს სურს დააჯეროს  
ძიოთხველი, რომ ჯვრის აღმართვის დღესასწაული, რომელსაც „დღე-  
ნდლად დღემდე“ ზეიმობს საქართველოს ეკლესია. ჯერ კიდევ ქარ-  
თლის გაქრისტიანების დროიდან იღებს სათავეს. ამიტომაც მას იაკო-  
ბის მიერ მოცემული თარიღები ხის მოჭრის, ჯვრების შემზადებისა და  
შათი აღმართვისა არ აქმაყოფილებს. ავტორი გვაწვდის ჯვრის აღმარ-  
თვის იმ თარიღს, რომელიც მცხეთის ჯვრის დღესასწაულისათვის იყო  
დადგენილი ღვთისმსახურებაში. ესენია: „აღდგომის ზატიქის ზატიქი“  
(აღდგომიდან შესამე კვირა დღე) და შარტვილის შემდგომი ოთხშაბა-  
თი. ეს ორივე დღესასწაული მართლაც დადასტურებულია ლიტურგი-  
კული დახიშხულების ძეგლებში (ზანმეტი ლექციონარი, იოანე ზოსი-  
ძეს კალენდარი, იერუსალიმური კანონარი)<sup>27</sup>. ამათვან უძველესია ხან-  
შეტი ლექციონხარი, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, / ს-ის პირ-  
ველი ან შეორე ხახევრის საღვთისმსახურო პრაქტიკის უნდა ასავ-  
დეს<sup>28</sup>. ცხადია, ამ დღესასწაულთა დაწესება უნდა ყოფილიყო სწორედ

27 თ. ვგ. ალობლი ჭვილი, კლარტული მრავალთავი, გვ. 241—244.

28 იქვე, გვ. 241—242.



ბიძგი „აღმართებას“ შექმნისათვის. მცხეთის ჯვრის დღესასწაულზე გამართებაში გააზრებულია, როგორც ერთიანი ქართლის სამცემო კულტურული ეკლესიის დღესასწაული, რადგან მცხეთის ძლევის მყოფელი ჯვარი მთელ საქართველოს ფარგლებში ქრისტიანობის ტრიუმფის განსახიერებაა. ამიტომ: „ეკითარება აღმართა ნიში ჯუარისა და ქუეყანისა შას ქართლისასა, შესყიდულად შას უაშსა დაეცხეს ყოველზე კერპნი, რომელზე იყვნეს საზღვართა ქართლისათა და შეიძლება და საკერპნი დაირღვეს“.

„აღმართებას“ ავტორისათვის უთუოდ ცხადი იყო ის სიმბოლიკა, რომელიც იყობის მონათხრობშია ჩადებული ჯვრების აღმართვის თარიღებთან დაკავშირებით. ამიტომ მცხეთის ჯვრის აღმართვა და კუალად გამოჩინება ისევ და ისევ ალდგომიდან მარტვილიამდე (სულთანთქმენობაშე) პერიოდში მოიცავს. მაგრამ ის ზუსტად ვერ გაიმეორებდა იყობის მონათხრობში მინიჭნებულ სიმბოლიკას, რადგან ასეთ შემთხვევაში მცხეთის ჯვრის დღესასწაული საერთო ქრისტიანულ დღესასწაულებს დაემთხვეოდა (ალდგომის, იერუსალიმში ჯვრის გამოჩინებას 7 მაისს, სულთანთქმენობას). ამიტომაც თხზულების ავტორმა თუ იმ პირმა ვისაც მცხეთის ჯვრის აღმართვის დღესასწაულის დაწესებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის. ისეთი თარიღები შეარჩია, რომელიც ალდგომიდან სულთანთქმენობაშე სადღესასწაულო ცეკვას უკავშირდება. მაგრამ არ ემთხვევა ზოგადქრისტიანულ დღესასწაულს და საკუთრივ ქართლის ეკლესიის დაფუძნებას უკავშირდება. მცხეთის ჯვრის აღმართვა (იყობის შინედვით 7 მაისი) ალდგომის შემდგომ შესაბეჭირობას, ხოლო შინიკუალად გამოჩინება მარტვილის შემდგომ ოთხშაბათს დაუკავშირდა.

აქვე უხდა ლინიშნოს, რომ „აღმართებას“ ავტორი იერუსალიმის ჯვრის აღმართვისა და ჯვრის გამოჩინის ლეგენდების გარკვეულ გავლენასაც გახიცილის. ზოგიერთი მათგანის შესახებ შენიშნული აქვს ქ. კიკელიძეს, ოლონდაც შეცნიერი „აღმართებას“ წყაროებს, შთლიახად „ხიხოს ცხოვრების“ ტექსტზე ავრცელებს<sup>29</sup>. დღესდღეობით, როცა ამ ორი თხზულების წარმომავლობა ერთმანეთისაგან აშეარაღვები გამოიჯნულია, ასევე უხდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან „ნინოს ცხოვრების“ და „აღმართებას“ წყაროებიც. ასეთი გამიჯვნის აუცილებლობას თვალნათლივ წარმოაჩენს „ნინოს ცხოვრებისა“ და „აღმართებას“ ურთიერთშეპირისპირება. შაგ „აღმართებაში“ ნათქვამია: „მას უამსა

<sup>29</sup> კ. კოკილიძე, ეტიულები, ტ. I, 1967, გვ. 66—72.

(როცა ხუროებში მის ჯვარი შექმნეს — ლ. 3.) ვულისხმა-ყოფილი მწერლა  
ექვენა შეფეხსა, ოდეს-იგზ დღე დაუბხელდა შთამა ზედა, ჰილაშისა და  
ნათელი გადაწყინვა ლეგიტიმი დიდისა იხილა „ცუნა“ (ხაზი ჩემია —  
ლ. 3.). „ხეხოს ცხოვრებაში“ აღწერილია მირიანის მოქცევა თხოთის  
ძალაშე ძხის დაბხელებით. შავრამ იქ არსადაა ნათქვამი. რომ მან ნა-  
თელი „შეგვასად ჯვარისა“ იხილა ეს დეტალი უოუოდ კონსტანტინეს  
მოქცევის ეპოზოდით არის შთაგონებული; ევსევი კესარიელი მოვით-  
ხობს „კონსტანტინეს ცხოვრებაში“ (წ. I. თ. 28—29). რომ მეფე  
კონსტანტინემ ჩვეხებით იხილა ჯვრის სახე, რომელსაც ეწერა „ამით  
სძლო“ და ამის შეგვასად გაძოსახა ის ხიშანი, რომელიც თვეს სპას  
წინ წარექმდევარა, და რომელშაც ძლევა შოუტანა მეფეს მის მტერზე.  
უხდა ითქვას. რომ „აღმართებაში“ ჯვრის ნიშანს ძლევის ძალა ენი-  
ჭება, როგორც წარმართული კერპების მიმართ, ასევე პრძოლაში  
შტრების წინააღმდეგ. ის შობსენება, როგორც „ძლევის მყოფელი  
ხიში ჯუარისაა“. რომელიც შემწერა იმათი, ვინც „გრია თუ ბრძოლასა.  
ლუარლა შიხა ხადიდ პატიოსანსა გუარსა შცხოოსასა, მუნთეუესვე  
შძლე ექმნიან მტერთა“<sup>30</sup>.

„აღმართებათ“ კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს იერუსალიმ-  
ში ჯვრის გამოჩინების შესახებ, უტურარ კვალს ატარებს. უპირველეს  
ყოელისა, იმიტომ, რომ „აღმართებათ“ გვაუწეუბს არა მხოლოდ მცხე-  
თის ჯვრის აღმართვის ამბავს (როგორც იაკობი), არამედ მის ხელახალ  
„გამოჩინებასაც“. გარდა ამისა, აქ ტექსტობრივ სიახლოესაც აქვს აღ-  
გილი. მაგ., „აღმართებათ“ აღნიშნავს, რომ ცაშე ჯვრის სასწაული რამ-  
დენიშე ხანს გაერთიალებულა: ისე, რომ ის ყველას უხილავს „და ესე  
არა ზედამოთ იყო და არც თანა-წარსლებით, არამედ მყოვარ გამ“<sup>31</sup>.  
ასევე იერუსალიმის ცაშე შოვლებილი სასწაულიც ასეთივე ხასიათისა  
ყოფილა: „და ილარია ესრუ თუ ვინმე ჰეონებდას მწრაფლ იცნებით  
გარე-წარსულსა, არამედ მყოვარ ეამ თუალით ხილული განცდით...“<sup>32</sup>.

ამგვარად, ცხადია. რომ „აღმართებას“ ავტორი იცნობს როგორც  
კონსტანტინე მეფის, გაქრისტიანებასთან დაკავშირებულ ლეგენდას,  
ასევე კირილე იერუსალიმელის ეპისტოლეს მიწერილს კონსტანტი კერ-  
სრის მიმართ 351 წ. — და სწორედ ამ წყაროთა გათვალისწინებითა

<sup>30</sup> მოქცევად ჭართლისათ, გვ. 157.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 155.

<sup>32</sup> ქ. თ ა ხ ე ლ ი ა, ჭართლი ლექციონარის პარიზული ხელნაწერი, ტ. I, ნაწ.  
თბ., 1987, გვ. 484—487.



და გავლებით ქმნის მცხეთის ჯერის აღმართვისა და მისი კვალად გამოჩენის სადღესასწაულო საკითხავს.

ამგვარად, ჩეენ შიგვაჩნია, რომ „აღმართებამ“ შეიქმნა სწორედ როგორც საკითხავი მცხეთის ჯერის აღმართვისა და კვალად გამოჩენების დღესასწაულისათვის, მაშინ, როცა ეს დღესასწაულები დაწყესდა საქართველოში. როდის უნდა დაწესებულიყო ეს დღესასწაული?

როგორც აღვნიშნეთ, საკითხავში აშკარად გატარებულია იდეა იშისა,—რომ შეცხეთის ძლევით შეძლესილი ჯერის „ძალა“ მთელს ქართლის სამეფოს ფარგლებში კრცელდება. მისი აღმართვისას ხომ კერპები დაეცა მთელს „საზღვაოსა ქართლისასა“. ამიტომ შეცხეთის ჯერის აღწერილი დღესასწაული საქართველოს ერთიანი, ავტოკეფალური ეკლესიის დღესასწაული წარმოგვიდგება. მაშასადამე, მცხეთის ჯერის დღესასწაულის დაწესება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შორივებასა და ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობას უნდა დავუკავშიროთ. ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“, მართლაც, ჯერის სიბბოლიკა შეიიღოდა უკავშირდება ხსნებულ საეკლესიო რეფორმას. აქ არაერთხელ ვხდებით ჯერისა და ვაირგვინს, როგორც ქრისტეს ძლევითა და ღილებით შეძლესვის ხიშანს; შაგალითად, ვაძლამგის წინასწარშეტყველური ხილვა ასეთ ეპიზოდს შეიცავს: „რქუა კეისარმან (ვახტანგი — ლ. პ.) „უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გვირგვინი, ალოტე ვინ ესე დგას ჩეენ ზედა, პეძროდი მტერთა მისთა და მიიღე მისგან გვირგვინი“. შეინილა ვახტანგ და იბილა ჭუარი, რომელსა ფრთეთა შისთა ზედა აქუნდა გვირგვინი, და უმეტესად ხილვამან ჭუარისაშინ დასცა შეძრწუხება, რამეთუ უსაშინელეს იყო ზარი მისი, და დაღუბა, ხოლო აღდგა ხინო და მიხედნა პეტრეს კერძო და სამოელისა, და ერთითა პირთა თქუეს: „ჩეენ ვართ თავსმდებნი. ვითარმედ უმეტეს ყოველთასა წარეძართოს, პოლ ჭუარო უძლეველო“. და შიძუო კელი კეისარშახ, და შოილო გვირგვინი ჭუარისაგან, და დაარქუა გვირგვინი იგი ვახტანგს თავსა“<sup>33</sup>.

როგორც ვხედავთ, ამ სიბბოლიკის მიხედვით ქართლის მეფე — ვახტანგი ქრისტეს ჯერის დადებისა და უძლეველობის ნიშნით — გვირგვინით შეიძენ. ახლა გავიხსეხოთ, რომ იაკობის მიერ აღწერილ თხზულებაში ზეცილან გადმოსული ცეცხლოვანი ჯვარი ერთი ვარ-

<sup>33</sup> ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 168.

სკლავითაა დაგვირგვინებული. ამ ვარსკვლავიდან შემდეგ კიდევ ორი ვარსკვლავი გამოვიდა, რომელთაც დანარჩენი ჯვრების აღმართებისათვის გილი შეიტითეს. შენაზარდი თავი „აღმართებას პატიოსნისა ჭურისა განსხვავებულად გადმოგვცემს ჯვრის სასწაულს, აქ ჯვარი თორმეტი ახელოზითა და თორმეტი ბრწყინვალე ვარსკვლავითაა დაგვირგვინებული. „აქა ესერა სუეტი ხათლისა საზედ ჭუარისა დგაზედა ჭუარსა მას და ათორმეტი ანგელოზი დაგვირგვინებულ იყვნეს გარეშობს შისა, და ეგრევე სახელ ათორმეტი ვარსკულავნი გაგვირგვინებულ იყვნეს“<sup>34</sup>. როგორც ვხედავთ, იყობის მონათხრობში რიცხვი — 3 სიმბოლიყაა გამოყენებული, რომელიც „აღმართებას“ აფტორმა თორმეტით შეცვალა. თუ პირველი სამებას და სამ ჯვარს (ჟფლისა და ორი ავაზაფის) გამოსახავს, მეორე ქრისტესა და თორმეტ მოციქულს უკავშირდება. თორმეტი რიცხვის სიმბოლიყა უფრო აქტუალური იყო სწორედ გორგასლის ეპოქაში; მეფემ კონსტანტინოპოლის პატირიარქისაგან კათალიკოსი და თორმეტი ეპისკოპოსი ითხოვდა. და ალაშენა სკეტი ცხოვლის ეკლესია, სიონი 12 მოციქულის სახელობისა<sup>35</sup>.

ამგვარად, ცხადია, რომ „აღმართებას სიმბოლიყა და შესაბამისად შისი იდეური შიზანდასახულება შეიძლო კავშირშია ვარტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმათან და კათალიკოსობის ღამყარებასთან საქართველოში!“

„აღმართებას“ შექმნა უნდა ყოფილიყო განპირობებული შცხეობის ჯვრის გახსაკუთრებული დღესასწაულის დაწესების აუცილებლობით. ასეთი აუცილებლობა კი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებასა და შასთან დაკავშირებულ იდეოლოგიურ მოთხოვნილებებს უხდა გაეჩინა. ეს გარეშემობა, უფიქრობ, „აღმართებას“ დამთარიღებლადაც გამოღვება. დაწერის თარიღს დაახლოებით V საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით შემოსახულებას.

ქრისტიანული ეკლესიის წმინდათა შესახებ ცნობები მოიპოვება როგორც ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, ასევე ლიტერატური ხასიათის ძეგლებში. „ნიხოს ცხოვრების“ კვლევამ დაგვახახა, რომ საღვთისშასხურო დანიშნულების წყაროები მნიშვნელოვან სამსახურს უწევენ წმინდანის ცხოვრებაში დაუსული ბევრი საკითხის გარკვევას, ძევევ როგორც ჰაგიოგრაფია ლეთისმსახურების შესწავლის ერთ-ერთი წყაროა.

<sup>34</sup> მოქცევამ ქართლისამ, გვ. 155.

<sup>35</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 197—198.

## თავი გვოთხა

### ჩარტლის სამეცნის ისტორიის პრისტიანული კონცეფციის ჩამოყალიბება და „წიგნი მირიანისა“

იყორბის შიერ შოთხრობილი თავის განხილვისას დავინახეთ, რომ თხზულებაში ეპიზოდების განაწილების პრინციპი ყოველთვის არ თანხედება დროში შოულენათა თანმიმდევრობას. ნიჭარმოების კომპოზიციური მხარე ხშირად ავტორისთვის საჭირო აზრობრივი და ემოციური აქცენტების განაწილებას ეძახერება. იყომ მღვდლის მონათხრობი ამ თვალსაზრისით ისტორიის მიმართ შუა საუკუნეების ავტორების მიღვდომის ერთ-ერთი თვალსაჩინო შაგალითითა. შუა საუკუნეების ისტორიოგრაფია აღწერს შოულენებს არა ისე და იმ თანმიმდევრობით, როგორც ის იყო სიხამდევილები, არამედ ისე, როგორც ის უნდა ყოფილყო ლვათებრივი ისტორიის ქრისტიანული იდეის შესაბამისად. ამიტომ „ნინოს ცხოვრებაში“ აღწერილი ამბების თანმიმდევრობა (მაშასადამ) ამ თხზულების კომპოზიციური აგების პრინციპი) შესაძლებელია გამოდგეს, როგორც წყარო ქართლის სამეფოს ისტორიის ქრისტიანული კონცეფციის გაგებისათვის.

ისტორიული თხზულება „მოქცევა ქართლისათ“ შესანიშნავი მავალითია იმისა, თუ როგორ ახერხებდნენ შუა საუკუნეების ავტორები კომპოზიციური აგების საშუალებით მოვლენათა მნიშვნელობისა და ისტორიულ პერსპექტივაში მათი ხევდრითი წილის წარმოაჩნია. „მოქცევა ქართლისათ“ (ისტორიული ქრონიკისა და „ნინოს ცხოვრების“ გაერთიანების შედეგად მიღებული თხზულება) სრულიად აშკარად წარმოაჩნია იმ იდეოლოგიურ თუ პოლიტიკურ მისწრაფებებს, რომლებიც VII ს-ის ავტორმა ქართლის სამეფოს არსებობის დროულ პერსპექტივაში (ძვ. წ. III — ა. წ. VII ს-ი). ჩააქსოვა, რაც, უპირველეს ყოვლისა, ამ თხზულების კომპოზიციური აგებულებისა და არა რაიმე თეორიული შსკელობის მეშვეობით გამოიხატა. საინტერესო

1 პ. ჩიარტი შვილი, ქართლი ისტორიული აზრის განვითარების ისტორიიდან („მოქცევა ქართლისათ“) — მაცნე, სტორიის სერია, 1985, № 3, გვ. 127—

შედეგი შოვცა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესული თხზულებების კომპოზიციური გახაშილების შესწავლამ. გამოითქვა მოსახრება, რომ ამ ისტორიულ კრებულში შესული თხზულებების მოსახრება ხშირად შესაბამისი ისტორიული პერიოდის მნიშვნელობის წარმოჩენას ეძსახურება<sup>2</sup>.

ძალზე სახტერენსთა „ხიხოს ცხოვრების“ კომპოზიციური აგებულების ამ თვალსახრისით გახსილვა, გარკვევა იმისა, ავლენს თუ არა „ხიხოს ცხოვრების“ კომპოზიცია ისტორიის გარკვეულ კოხცეფის. და თუ ავლენს, როგორ წარმოუდგება მის ავტორს ქართლის სამეფოს ისტორიული წარსული, აწყო და მომავალი ქართლის გაქრისტიანების შექმნების შექმნები.

„ხიხოს ცხოვრება“ ერთიანდება როგორც რამდენიმე პირის მოხატვრობთა კრებული. ამავე დროს ეს ძეგლი თავებადაც არის დანაწილებული. თავებად დანაწილების პრინციპი, მათი აეტორების გარდა, აյ ძოთხოვობილი ეპიზოდების შინაარსითაც განისაზღვრება. თვალსაჩიხოებისათვის „ხიხოს ცხოვრების“ მთხოვნელების, თავებისა და შათში აძლების გახაშილება წარმოდგენილია ჩერენ მიერ შედგენილ სქემაზე:

	მთხოვნელი	თავების დასახელება	მოთხოვნელი ეპიზოდების შინაარსი
1	კრებულის ავტორი	„ხელო თდეს ჰასტულა სჩაბად სარწმუნოებასა ზე-და წმინდისა სამებისასა“	წმინდა ნინოს დასწერულება და მის მიერ მოწაფებისათვის თავისი ცხოვრების თხრობა
2	ნინო	„ცხოვრებათ წმინდისა ნი-ნოსი“	წმინდა ნინოს შშობულების ვინაობა, მისი ყრმობა
3	„	„ალწერილი მისიე სალო-მე უკარმელისაა“	წმინდა ნინოს მოლვა-რეობა ქართლში მოსელამ-ი
4	„	„მოწევნათ წმინდისა ნი-ნოსი მცხეთად აღწერილი მისიე სალომე უკარმე-ლისაა“	წმინდა ნინოს შეცეთაში მოსკლა, არმაშის კერპების მსხვრევა

128; მისიე, ქართლი პაგიოგრაფიის წყაროთმულნეობითი შესწავლის პრობლემები, გვ. 19—20; ე. აბაშიძე, ქართლის ისტორია კონკრეტული ქართლისამში, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1988, გვ. 127—135.

<sup>2</sup> ე. აბაშიძე, 1990 წ. ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმულნეობის განულებაში წაყითხული მოხსენება.

5	სიღონია	„რომელი აღწერა დე- დაცუმშან პურიამნ, სახე- ლით სიღონია, ასულმან აბიათარ შლედელისმან“	ქართლი წმინდა ნინოს მოსვლამზე, უფლის კურ- თის მცხოვრაში მოხვდებოდა ამბავი
6	"	„თქმული სიღონიამისე დედაცუმშან“	ნანა დელოფლის მოქცე- ვა. ნანას დელის ძმის გან- კურნება ნინოს მიერ მიტიან მეფის მოქცევა— მზის დაბნელება
7	"	„თქმული მისივე“	„შშილა წმილათაშა“ ვა- ლესის, აშენება შეცხოვაში და მასთან დაკავშირებული საწაული
8	"	„მისივე აღწერილი აღ- შენებისათვის კელასისა“	„ძელი ცხოველის“ სას- წაულები
9	"	„თქმული მისივე“	აბიათარის მოქცევა. „ელიოზის სახლის“ — ვა- ლელთა შეცხოვის დის- პორის მოქცევის ამზებრ სასულეორო მისის ჩამო- სულა „საბერძნეოთა“
10	აბიათარი	„რომელი თქუა აბია- თარ, რომელი იყო პირ- ვილი შლდელი ბავინა ში- ნა პურიათასა მცხოვას და ნათელ იღლ კელა შინა ნინოსსა“	ფურების აღმართვა შეც- თაში, უჯარმაში, ბოლში
11	საკობ მლედელი	„პატიონისა ჭურისა- თვის, რომელი აღწერა ია- კობს“	ქართლის მოქცევის მო- კლე ისტორია ქართლის მფლეოსთვის მიმართებით. წმი- ნდა ნინოს სიკვდილი. შის სახელშე კელების აგება. მირიანის საფლავის შემ- ზაღვება
12	მირიან მეფე	„წიგნი, რომელი დაწე- რა შეირენ მეფემან ქარ- თისამან ფაშის სიკრდილი- სასა, აღწერა კელითა ია- კობ მთავარებისკომისისა- თა, და მისცა სალომეს უძარმელსა, ძის კოლსა თვსსა, რომელ შეცნიერ იყო ყოველსავე ჰეშმია- ტალ“	შირიანის ანდერძი ნანას მიმართ წმინდა ნინოს გარ- დაცვალების აღვილის და- ცეის თაობაშე და რევის მიმართ კურპების დაწერე- ვისა და ქრისტიანობის კა- ვკასიაში შემღვმი გავრ- ცელების თაობაშე.
13	"	„ანდერძი მირიან მეფე- სა ძისა თვსისა მიმართ რევისა და კოლისა თვსი- სა ნანასსა“	

ამგვარად, შიუხედავად იქისა, რომ ნაწარმოები თითქოს დაჩქო-  
ლია სხვადასხვა პირის თხრობად, რომელთა შორის დარღვეულობა შეუძლი-  
ტი ქრონოლოგიური თანმიმდევრობა (უფრო სწორედ ჰმისას იარჩება ე-  
სახვა-შეული, იგნორირებულია), ისინი მაინც გარკვეული ლოგიკით ებ-  
ძრან ერთაშემს. ეს კარგად გმოქნდება, თუ ზემოთ წარმოდგენილ  
სქემას დავაკვირდებით. განმახათლებლის შობლების ვინაობას მოს-  
დევს წარმართული ქართლის სახელმწიფოს ნგრევის სურათი (არმა-  
ზის კერძების ხგრევა). ძველის ნგრევის შოსდევს ქართლის საკ-  
რალური ცენტრის ფიქსირებასთავ დაკავშირებული ეპიზოდები  
(ნინოს ხილვა შირიანის სამოთხში, ელიოზ ცცხეოლის მიერ უფ-  
ლის კვართის მცხეთში ჩამოტანა და მისი სამოთხის ბალში დაფლვა,  
ამავე ბალში დედოფლის დედის ძმის განკურნება); შემდეგ მოთ-  
ხრობილია შეფის შოქცევა ნადირობის დროს. შოქცევის ლო-  
გიკურად შოსდევს კელების შენებლობა, რომლის აღვილის სიჭმინ-  
დის შესახებ მკითხველს უკვე გარკვეული ინფორმაცია გააჩნია, რადგან  
ან საპოთხის ბალის ამ აღვილის საკრალური მნიშვნელობის შესახებ  
უკვე წინა ცისხოდებიდან შეიტყო. კელების შენებლობა ასევე სას-  
წაულებრივად, ლოთის ხების ჩარევით ხორციელდება. სასწაულებრი-  
ვი, ლეთაეგბრივი ხასიათი მას აშენების შემდგომაც დასდევს: კელების  
ავებას შოსდევს „ძელი ცხოველის“ სასწაულების აღწერა. შემდეგ  
საუბარია აბიათარისა და ეპრაელთა შტეტის ღიასპორის მოქცევის  
აშებზე. ხოლო საბერძნებთიდან სასულიერო მისის ჩამოსელის ცნო-  
ბას შოსდევს ჯვრების აღმართვის ეპიზოდი. და ესეც სასესხით ლოგი-  
კურია, რადგან ჯვრების აღმართვა ქართლის მოქცევის დასასრულია.  
ეს გაბახათლებელი ქალის მისია უკვე ამოწურულია და ის საბერძნე-  
თიდან ჩამოსულ სამღვდელოების უთმობს აღვილს. ამ თავის ავტო-  
რიც, შესაბაშისად, „საბერძნებთით მოსრული“ მღვდელი იაკობია. ამ-  
გვარად, ჯვრების აღმართვა, როგორც ქრისტიანული კელების ტრიუმ-  
ფის სიმბოლური გამოხატულება, ფინალური თავია „ნინოს ცხოვრე-  
ბაში“.

როვორც ვხედავთ, „ნინოს ცხოვრების“ ავტორის აინტერესებს შეძების ლოგიური თახაშიძლევრობა და არა ქრონიკლოგიური. უფლის კვართის ჩამოტანისა და დაფლვის ლეგნდას მყითხველი უცურად სა-უკუნის შიხანდულ წარსულში გადაწყავს. მყითხველისათვის საკუთრი

3 ဂေါက်ပါ၏ တား "နိုင်ကဲ ဖြံဌော်ရှုံးမီး" ဖိုလှေ မီးလွှား၏ အော် အော်: "ပိုက္ခနီ မီး  
၏ကားနား" အာ အုပ်လွှုံးမီး မီးရားနားနား၊ လုမေသာ ဖျော်ပြုပါ၏ ဖျော်ဆုံး ဖုန်းပြုလုပ် ဤ-  
အောင် ထွေမီးမီး ဖျော်ချေ ထွေမီးမီး ပုံစံပြုလုပ် ပုံစံပြုလုပ် ပုံစံပြုလုပ် ပုံစံပြုလုပ်



კუნალი არ, არის, თუ როდის გაქრისტიანდა აბიათარი და ებრაელთა ნაწილი საქართველოში (მეფის მოქალაქეობიდან თუ შემდეგ). ის უაქტეტოვანა რომ არმაზის კერპების მსხვრევა თხზულების დასაწყისშია აღწერებული დილითავა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ქრონოლოგიურად ჯერ არმაზის კერპები დაიხვრა და შხოლოდ ამის შემდევ გარემ მეცემ და მთელმა ქართლშა ნინოს ჩამოსკლა და მის მიერ ქრისტიანობის ქადაგება მცხოვაში. ამგვარად, ეპიზოდები ძეგლში განლაგებულია არა ქრონოლოგიური პრინციპით, არამედ რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი გააზრების თანახმად. ავტორს არ აინტერესებს ამბების ზუსტი ქრონოლოგიური თანამიმდევრობა — ეს იმით აიხსნება, რომ საკრალური (ლვთავებრივი) მნიშვნელობის ქმედებანი საკრალურ დროში ბორციელდება. საკრალური დროის შიოთოლოგიურ-რელიგიური არსი კი მარადისობაა; ქრისტიანული კონცეფციის შიხედვით კი, ამქვეყნიურ დროში შიძლინარე შოვლენები აღნიშვნის ლირსია მაშინ, თუ ისინი ადამიანს გახვების ნებას აუშევენ და პროფანულ მდინარებაში ლვთავებრივი ისტორიის შინაარსს ამეღავნებენ. ამიტომ ავტორი, უნდა ვიფიქროთ, საგანგებოდ აგებს თხზულებას ისე, რომ მკითხველისთვის ის თითქოსდა განერებულ დროში აღიქმებოდეს. „ნინოს ცხოვრების“ ძირითადი ხაწილი სტატიურობის შეგრძნებას იწყევს წითხეველში და უფრო სივრცეში იშლება, ვიღრე დროში. ამ შთამცემალებას „ნინოს ცხოვრების“ წრიული კომპოზიცია ბადებს (ვინაიდან წრე შინაგანად დასრულებული კომპოზიციური მთლიანობაა, რომელიც მოქლებულია დროის ვერტორულობასა და მომავლისა და წარსულის პერსპექტივას).

„ნინოს ცხოვრების“ კომპოზიციური აგებულების შესახებ გამოთქმული აქვს აზრი მ. ჩხარტიშვილს. კერძოდ, ერთგან შეკლევირი აღნიშხავს: „ავტორისეულ ბოგოხებაში (იგულისხმება შესავალი — ლ. 3.) დასნეულებული ნინო ჩანს და არა გარდაცვლილი. აქ (იგულისხმება „მირიანის წიგნი“, თხზულების უკანასკნელი თავი — ლ. 3.) კი უცრება წრედი: დაიწყო ნინოს დასნეულების ამბით, გადამალა ამის მეტე მთელი მისი ცხოვრება და დაბოლოვდა გარდაცვალებისა და დაკრძალვის აღწერით“<sup>4</sup>. ამგვარად, მ. ჩხარტიშვილის აზრით, „ვრცელი ნინოს ცხოვრების“ კომპოზიცია ერთიანდება როგორც „წრედი“. ამ „წრედის“ შიგნით კი ამბების თანმიმდევრობა ძეგლის შედგენის შინაგანი ლოგიკითაა განპირობებული.

<sup>4</sup> ვ. ჩხარტიშვილი, ქართული პაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, გვ. 71—72.

ე. აბაშიძე „მოქცევად ქართლისახს“ კომპოზიციური შედეგნის საყითხებზე შეჯელობისას „ნინოს ცხოვრებას“ განიხილავს ტრაფიცია წრეს. შევლევარი წერს: „შესავალ ნაწილში მოთხოვობილი მოქცევით დან შთიულთა მოსაქცევად გამგზავრებული ნინოს დასნეულება. და ის (იგულისხმება „ვრცელი ნინოს ცხოვრება“ — ლ. პ.) თავდება ცნობით მცხოვრიდან შთიულთა მოსაქცევად ნინოს გამგზავრების შესახებ. ამით წრე იკვრება და სრულდება „ვრცელი ნინოს ცხოვრება“ „მოქცევად ქართლისახში“. შაშასადამშე, კომპოზიციურად „ვრცელი ნინოს ცხოვრება“ შეკრული წრეც არის და მას აშეარად სიმეტრიული სტრუქტურაც გააჩნია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „ვრცელი ნინოს ცხოვრება“ სიმეტრიულად განლაგებული კომპოზიციური ნაწილები-საგან შემდგარი შეკრული წრეა<sup>5</sup>.

ე. აბაშიძე „ნინოს ცხოვრების“ სტრუქტურას განიხილავს როგორც სიმეტრიულად გახლაგებული ნაწილებისაგან შემდგარ წრეს. ოღონდ შ. ჩხარტიშვილისაგან განსხვავებით, ე. აბაშიძე მირიანის შიგნის ამ „წრის“ გარეთ ტოვებს და განიხილავს, როგორც „მოქცევად ქართლისახს“ ერთიანი კომპოზიციის შემაღვენელ ცალკე მონაცემს.

ე. აბაშიძემ წრიულობის გარდა, „ნინოს ცხოვრების“ კომპოზიციური აგებულების კიდევ ერთ თვისებაზე გაამახვილა ყურადღება. ეს არის მისი სიმეტრიულობა: თხზულების ცენტრულური ნაწილი სიღონიას მონათხრობია, რომლის კომპოზიციურ და შინაარსობრივ კულ-მინაციას მირიან შეფის სასწაულებრივი მოქცევის ეპიზოდი წარმოადგენს. ამ ეპიზოდზე, შევლევარის აზრით, გადის მთელი თხზულების წარმოსახვით სიმეტრიის ღრები, რაც იმაში გამოიხატება, რომ მის წინ და შის შეძლეომ განლაგებული ეპიზოდები ერთმანეთის მოპირდაპირე შინაარსეულ მონაცემთებს წარმოადგენენ. მაგ., ერთმანეთის მოპირდაპირე თავებია ნინოს „ანდერძი“ (პირველი თავი „ნინოს ცხოვრებისა“) და იაკობის მოთხრობილი „პატიოსნისა ჭუარისათვის“ („ნინოს ცხოვრების“ ფინალური ნაწილი), ელიოზ მცხეთელის მიერ უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანის ლეგენდა (სიღონიას მონათხრობის დასაშუალის ნაწილი) და აბითარის „თქმული“ მისი მოქცევის, ებრაელთა ბაგიხე ჭვრის აღმართვისა და ბარაბეანთა სახლის მოქცევის შესახებ.

5 ე. აბაშიძე, „მოქცევად ქართლისახს“ სტრუქტურის საყითხისათვის (მოხსენება წარმოთხული ისტორიის ინსტიტუტის შეარმოთლეობის განყოფილებაში, 1988 წ.).

„ნინოს ცხოვრების“ კომპოზიციის სიმეტრიული გააჩრება, ჩვენი აზრით, სავსებით ლოგიკურია. ამას თბილებაში აღწერილი „სასწაულო ლეგის“ სიბბოლური შინშენელობების „გახსნაც“ ადასტურებს. გრძვმარტავთ ხათქვაში: თუ შირიანის მოქცევამდე „ნინოს ცხოვრებაში“ ძოთხრობილი ეპიზოდები მეფის ბალის ერთი ადგილის საკრალურობაზე შიუთითებს, შეფის მოქცევის შემდეგ მოთხრობილი ეპიზოდები სწორედ ამ ადგილის კელესის აგებასა და შისი სასწაულებრივი ძალის გამოქვლავებას ეხება. დასაწყისში წმ. ნინო მცხეთის მახლობლად შთაზე აღმართული არმაზის კერპის მსხვრევის სურათს აღწერს, ხოლო ბოლო ხაწილში იყობ მღვდელი ძლევის ჯვრის შთაზე აღმართვისა და ქრისტიანობის ტრიუმფის შესახებ მოვკითხობს.

როგორც ვხედავთ, „ნინოს ცხოვრებაში“ ქართლის მოქცევის აღნიშვნელი სიბბოლოები ისეა განლაგებული, რომ მათი იდეურ-შინაარსობრივი ცენტრი მირიანის მოქცევაზე გადის.

ამგვარად, შეიძლება უყოყმანოდ ითქვას, რომ „ნინოს ცხოვრების“ აგებულება, შისი როგორც კომპოზიციური, ისე იდეურ-შინაარსობრივი შხარე გაძოხატავს ავტორისეულ კოხცეფციას, რომლის შიხედვით შეფის მოქცევა გარდატეხის წერტილია იმ დროულ პერსპექტივით, რომელსაც „ნინოს ცხოვრება“ მოიცავს.

შეგრამ „ნინოს ცხოვრების“ კომპოზიციისა და მასში განხორციელებული ისტორიისა და დროის კონცეფციის სურათის განხილვა დასრულებულად ვერ ჩაითვლება „ნინოს ცხოვრების“ უმნიშვნელოვანების თავის — „მირიანის წიგნის“ განალიზების გარეშე.

„წიგნი რომელი დაწერა მირიან მეფემან უამსა სიკუდილისა მისია“ — ეს თავი „მირიანის ანდერძთან“ ერთად „ნინოს ცხოვრებას“ ბოლოს დაერთვის. „მირიანის წიგნში“ პირველად შემოდის თხრობა წმ. ხიხონის გარდაცვალების შესახებ და, ამდენად, ის მთელი თბილების წრიული კომპოზიციის უკანასკნელი რგოლია. მეორე მხრივ, მირიანი სიკედილის წინ დაწერილ „წიგნში“ მოქლედ იმეორებს ნინოს ცხოვრებაში უკვე მოთხრობილ ქართლის მოქცევის ძირითად ეპიზოდებს.

სრულიად საპართლიანია მ. ჩხარტიშვილის მოსაზრება, რომ „მირიანის წიგნში“ ხელახლა მოქლედ მოთხრობილი ამბები წინამავალი ეპიზოდების უბრალო შემოქლება და რეზიუმირება არ არის<sup>6</sup>. ყოველი

6 ვ. ჩხარტიშვილი, ქართული პაგიოგრაფიის წყაროთშეცილნებითი შესწავლის პროცესშები, გვ. 71.

ლი ეპიზოდი აქ შართლაც ახალი ნიუანსებით არის გამდიდრებული. შეტიც, შეიძლება თქვენს, რომ ისინი აქ ქრისტიანული მსოფლიშიც კელობის მიხედვით არის გააზრებული და არსობრივი კუთხით წარმოჩენილი. შემთხვევით არ უნდა იყოს ის, რომ ქრისტიანული სიმბოლიკის შემნებ ტერმინები („წმინდაში წმიდათაშ“, „უჩინოდ და ცხადი“ და სხვ.), რომელსაც უკახასკული ხანის სამეცნიერო გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა, სწორედ „მირიანის წიგნშია“ დაცული.

ამგვარად, „მირიანის წიგნს“ ორი ძირითადი თვისება გააჩნია. პირველი — ეს არის შისი შეაფიოდ გააზრებული სტრუქტურა: „ნინოს ცხოვრებაში“ არსებული ყველა მნიშვნელოვანი ეპიზოდი ქართლის შოქცევისა ლოგიკური თანმიმდევრობით შესულია „მირიანის წიგნშიც“. შეორე — უკველი მათგანი, მართალია ძალზე ლაკონიურად, შეგრძელებულია და შეფასებული. ყველა ეს ეპიზოდი გაერთიანებულია ისე, რომ გამოჩნდეს ქართლის შოქცევის მნიშვნელობა საქართველოს ძოველი ისტორიისათვის დასაბამიდან დასასრულამდე.

„მირიანის წიგნის“ კომპაქტური ხასიათი, მისი შეაფიო კომპოზიცია თითქოს უფრო თვალსაჩინოს ხდის ქართლის შოქცევის ეპიზოდების თახმიცედებობას. აქ მოვლენათა დროში განვითარებას უფრო დინამიური ხასიათი ეძლევა, ვიდრე „ნინოს ცხოვრების“ დანარჩენ ნაწილში, სადაც შოთხრობა სხვადასხვა პირებს აქვთ დანაშილებული. ყოველივე ამის გამო, „მირიანის წიგნი“ თითქოს აწონასწორებს იმ სტატიისა და შოქცედების სივრცეში გაშლის შთაბეჭდილებას, რომელსაც „ნინოს ცხოვრება“ ქმნის და რომელზედაც ზემოთ უკვე გვქნდა საუბარი.

აშიტოძ „ხინოს ცხოვრებაში“ გატარებული ისტორიისა და დროის კონცეფციის გამოვლენისათვის „მირიანის წიგნის“ იდეურ-კომპოზიციურ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს.

იძისათვის, რომ „მირიანის წიგნის“ აგებულება და მისი იზანდასახულება უფრო კარგად შამოჩნდეს, ჩვენ შესაძლებლად შეიიჩინიეთ პირობითად ამ ძეგლის დაყოფა ცალკე მონაცემთებად. ისინი თავისი შინაარსის მიხედვით, ასევე პირობითად, შეიძლება დასათაურდეს. ამგვარად, „მირიანის წიგნი“ შეიძლება დაიშალოს შემდეგ შინაარსებულ მონაცემთებად:

1. „ქართლი“ წმ. ნინოს მოსელამდე
2. წმ. ნინოს „ქართლში“ მოსელა
3. მირიან მეფის მოქცევა
4. პირველი ეკლესიის („ქუემოქ“) აგება
5. გერების ომართვა
6. წმ. ხიხოს შაყვლოვანის ბუჩქის ადგილას ეკლესიის („ზე-შოქ“) აგება
7. „ზეშოქ“ ცლებიაში მირიანის საფლავის შემზადება
8. წმ. ხიხოს გარდაცვალება, მის საფლავზე ეკლესიის აგება, მირიანის სასოება აღდგომისათვის.

„მირიანის წიგნის“ ჩეკენ ჰემოთ ჩამოთვლილი დასათაურებული მონაცემების მიხედვით განვიხილავთ.

### 1. გართლი წმ. ნინოს მოსელამდე

„და იყო ქაშა შას, რომელსა მოიქსენა უფალმან ქვეყანა ესე ჩრდილოსა, დაბნელებული ცოდვითა და სავსე ცოორითა ეშმაკისამთა, ვიყვენით ჩეკენ ვითარცა ცხოვარნი კლვადნი, რამეთუ ვარ მე ოც და შეათექუსშეტც მეფის კინამთვან მამანი ჩეკენი მოივლინნეს ვიღრე დღეთა ჩემთამდე. და შეკამნეს შვილნი მათი მსხუერპლად კერპთაოვს საძაგელთა, და უბრალოდ იგი ერი ქუეყანისა მის. და რომელნი შეიღლთა მათთა ვითარცა თივისა თიბდეს, მამანი ჩეკენი, რამთა სათნო ეყვენენ კერპთა და უფროსს ხოლო ორთა მათ მთათა, არმაზისა და ზა-დენისა, რომელთა ქვანიცა მათნი დაულთვან სისხლითა ჩიჟლთამთა, და ლირსუა არიან შთანი იგი ასპოლვად ცეცხლითა, რისხვითა ღმრთი-სამიერითა“<sup>7</sup>.

პირველ შოხაცემში საქართველოს წინაქრისტიანული დროის, წარმართულ კერპთა მსახურების „ცოდვით დაბნელებული“ ხანის შე-ძარჩეულებელი სურათია დახატული. ამ ემოციას აძლიერებს ისეთი გაძონათქვამები, როგორიცაა: „შვილთა მათთა ვითარცა თივისა თიბ-დეს შაშახი ჩეკენი“, „ქვანიცა მათნი დაულთვან სისხლითა ჩიჟლთამ-თა“ და სხვ, წარმართული ხანის მსგავსი სურათი „ნინოს ცხოვრების“

7 „მირიანის წიგნი“ ტექსტი აქც და შემდეგაც მოგვყავს შატბერლული ნე-სხის შეხედვით. ჩეკენ აზრით, ის ყველაზე უკეთ ასახავს ამ ძეგლის თვედაპირველ სახეს. მოქვევად ქართლისათვის, ძეგლის, II, გვ. 157—162.

სხვა ადგილებაც — სიღონიას შონათხრობ თავში გვხვდება: „და იყო ოდეს მოხედა ლშერთმან წყალობით ქუეყანასა ამას დავიწყებულსა ჩრდილოსასა კვებითა, სომხითისა შოეულსა, რომლისა მთან ჩრდილოება ფარნეს ხისლსა და ველზი არმურსა ცოოშისა და უშეცრებისში, და მომისა იყო ქუეყანას ესე ჩრდილო შხისაგან სიმართლისა... ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი, ორმაზ და ზადენ, რომელნი იყნოსდეს სულმყრალობით ათასა სულსა ყრმისასა“<sup>8</sup>.

სიღონიას თავის შონათხრობში წარმართული ხანის დროის პერსპექტივა ბიბლიური სიუეტების შეშვეობით აქვს გაღმოცემული, მაშინ როგორ შირიანი იმავე ისტორიულ პერსპექტივას თავისი მეფობის რიგითი სათვალავის ჩვენებით უთითებს. სიღონია ამბობს „არამედ იყვნეს ესოდენი წელზი და ესეთნი ხათხესავნი ნოვესითგან და ებერი-სითგან და აბრამიმისითგან. და მუნ შინა იყო იობ აზნაური, განცდილი განმცდელისაგან ვითარცა იოსებ, მოსე, ისუ, მდდელი და მსაჯული და შემდგომითი შემდგომად... გარდაყდეს ქრისტის მოსლვადმდე წელნი: კრთ: შობითგან ქრისტისით ვიდრე გარცუმამდე :ლეგ: და ჭუარცუმითგან ქრისტისით ვიდრე კოსტანტინე ბერძენთა მეფისა მონათლვადამდე :ტია: და ათონაშეტისა წლისა შემდგომად მოიკლინა ქუეყანასა ჩუენსა ქადაგი კეშმარიტებისად ნინო, დედოფალი ჩუენი“<sup>9</sup>. მირიანი კი ასე განსაზღვრავს დროის ხანგრძლივობას მის ნათლისლებამდე: „რაშეთ ვარ მე ოც და მეათექუსმეტ მეფი, ვინათგან მამანი ჩუენი მოიკლინეს ვიდრე დღეთა ჩემთამდე“.

როგორც ვხედავთ, ორი თანამედროვე ქართველი ხალხის წარმართულ წარსულს გაიაზრებს ერთნაირად — როგორც „ბნელ ხანას“, ოღონდ ისინი სხვადასხვაგვარად გაღმოსცემენ მას. თუ სიღონიასათვის ქრისტოლოგიური ათვლის ბიბლიური სისტემა უფრო ახლობელია, მირიანისათვის ის მეფეთა რიგითი სათვალავის ჩვენებით გამოიხატება და საკუთრივ ქართული ისტორიული ტრადიციის მაჩვენებელია.

## 2. რომელ ნინოს ქართლში მოსვლა

„ხოლო ოდეს მოიწია ეკინ და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი მოკიქული და შახარებელი ძისა ღმრთისამ, წმიდამ ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა უცხო და ვითარცა მწირი. ვითარცა შეუწევ-

<sup>8</sup> მოქცევა ქართლისამ, გვ. 125.

<sup>9</sup> იქვე.



ნელი, ვითარცა უსმი და უტყვი, რომელიცა აწ შექმნა ჩვენ ტუშე იგი დედოფალ, უცხომ იგი — დედა, შეუწევნელი — შესაცემებელ გრაფიკული ვალთა და უტყვი იგი — ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩრდილოების სიტყუათა, ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაც...“.

ეს შონაცეცი შხატვრული თვალსაზრისით მთლიანად აგებულია ახტოხიშუ წყვილებზე, რაც შინაარსობრივად და ემოციურად ზუსტად შეესაბაშება ნინოს საქართველოში მოსკლისა და ქვეყნის სულიერი ფერისცვალების მომენტს.

„ზედწოდებები, რომლითაც ნინო საკუთარ თავს იხსენიებდა: ტყვი, შეწირი, შეუწევნელი უსმი და უტყვი, — წერს გ. ნარსიძე, — ყველა ეს წოდება ფართოდ იხშარებოდა ქრისტიანების მიერ საკუთარი აქცევებისური ყოფის დასადასტურებლად“<sup>10</sup>. ეს ტერმინები „ნინოს ცხოვრების“ სხვა ადგილებშიც გვხვდება და მათი მნიშვნელობა თვითონ ამ ძევლიდანაც კარგად ჩანს. ნინოს, ქართლის სახლვარი როცა გადშოლახა, ახველობი მოველიხა და გადასცა „შიგნი დაბეჭდული“, რაც საქართველოში საგანმანათლებლო მისის დაკისრებას ნიშავრა. ნინო ასეთი სიტყვით შიძართავს ანგელოზს: „უფალო, დედავაცი ვარ უცხომ და უცხოარი, ვითარ მივიდე მე, არცა ენად ვიცი, თუ რამ ვთქუა უცხოთა ნათესავთა თანა?“ „უცხო“, „უსმი და უტყვი“ (ე. ი. ენის უცოდინარი) ნინო ხდება ქართველთა მოციქულთა სწორი განხანათლებელი. მოციქულის ძალა კი „ენამეცხიერებაა“. გავისხენოთ იობენალ პატრიარქის სიტყვები, თქმული ნინოს წარგზავნის წინ: „უქმენ, ქრისტე ამას გზა, მოგზაურ, ნავთ-საღვურ, შოღლუარ, ენაშეც ცნიერ, ვითარცა იგი წინათ მათ მოშიშთა სახელისა შენისათა“<sup>11</sup>.

ქრისტიანებს „უცხოები“ აღრეული ხანიდან შეერქვათ (მაგ., „კაცი ერთი ვინმე უცხო მოსრულ ასს აქა და ახალსა და უცხოსა რასმე სწავლასა ასწავებს სახელად ქრისტიანებისა“<sup>12</sup>) და შემდეგაც შერჩათ, როგორც მათი საბერმონაზენო ღვაწლის აღმნიშვნელი სახელი (მაგ., „რაშეთუ ჭეშმარიტად ღირსი იყო საყუარელი ღმრთისა ნეტარი მამამ ჩუენი იოვანე, რომელმან იგი, მსგავსად ამრაპლისა,

<sup>10</sup> გ. ნარსიძე, უცელი ქართლი თხზულება, მნათობი, № 9, გვ. 157—159.

<sup>11</sup> მოქცეულ ქართლისათ, გვ. 114.

<sup>12</sup> მარტვილობათ თელამი, ენიმენის მომბე, ტ. VIII, გვ. 99, 1—9.

უ ც ხო ე ბა აღირჩია და მწირობით და სიგლახავით ცხორება...<sup>13</sup> „მოვიდა ვინმე მონ აზნი პრომისა ქუყანისაა.. კაჭიშვილება ლით შეიტყნარეს... და ეტყოდეს, ვითარმედ: „ჩურენცა უ ცხონინ ჩაქრისა და შენცა უ ცხონარ“<sup>14</sup>.

„შეირი“ „ტუხორთან“ შინაარსით ახლოს მდგომი სიტყვაა — ნიშნავს უცხოს, შოსულს. ნინო მართლაც უცხოა და უცხო ქვეყნიდან შოსული საქართველოში.

სიტყვა „ტუხეს“ შინშვნელობა ძველ ქართულში არის ტყვე, ნაძარცვი, ალაფი<sup>15</sup>. შაგრამ საფიქრებელია, რომ „ნინოს ცხოვრების“ შესაბამის აღგილებში „ტუხე“ უხდა ნიშნავდეს დევნილს, უცხოობაში შეოფს, გადასახლებულს. ეს შინშვნელობა შეიძლება გამოშინარეობდეს სიტყვიდან „ტუხორბა“, „ტუხენვა“, რაც ნიშნავს ძალით ყრას და გადასახლებას (მაგ., „ბაბილონის ტუხეობა“<sup>16</sup>), უცხოობას<sup>17</sup>. წ. ნინო, როგორც თხელუებიდან ჩანს, თავის თავს „ტუხეს“, „ტუხეობაში“ მყოფს უწოდებს: „რაასა იტყვი ტუხე ობასა, ტუხეთა შესნელო... და ვითარ იტყვ, ვითარმედ ტუხე ვარი შე“<sup>18</sup>. „ტუხეხეას“ ქრისტიათა დევხის ხეიშეხელობაც ჰქონდა: „არა ესე არსა, რომელი-იჯი ტუხენვიდა იერუსალემს შინა, რომელი ხადოდეს სახელსა იესოსსა?“ (საქმე: 9.21), — კითხულობს დამასკოში პავლე მოციქულის უეცარი ფერისცვალებით გაოცებული ხალხი. ამიტომ წმიხდა ნინოს ეს ზეღწოდება მისი დევნილი ქრისტიანობის კუთვნილების გამომხატველი უნდა იყოს. ნინოს „ინტერდიდან“ მართლაც ვიგებო, რომ ის რიცსიმიანებთან ერთად დევნილებაში იმყოფებოდა, როდესაც თრდატ შეფეხ ისინი შეიძყრო და აწამა, ზოლო ხიხო გახვებით გადაურჩა შარტვილობას მათთან ერთაღ<sup>19</sup>.

13 ცხორება იოვანესი და ეცთვმესი, ძველი ქართული ავოგრაფიული ლიტერატურის ტეგლები, II, გვ. 41.

14 იქვე, გვ. 45.

15 ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ტუხე.

16 ქართულ რომანების სიმუონია-ლექსიკონი, გვ. 573.

17 ძველი ქართული ენის ლექსიკონი, ტუხორბა.

18 მოქლევად ქართლისამ, გვ. 105.

19 უკვე გამოიქველია შოსაზრება მისი შესაბებ, რომ წ. ნინო და რიცსიმიანები იპერატორ ლიკვიდტანეს ლროს ქრისტიანთა დევნის შედეგად გამოქვერული სომხეთში. ვ. გოლიაძე უთითებს: „ნინო და მისი ოანამგზავრები საბერძნეთი-ლან თვისი ნებით კი არ წამოვიდნენ, გამოიკენენ“ (იბ. ვ. გოლიაძე, წმიხდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის შოქცევის დათარიღებისათვის, მნათობი, 1986, № 2, გვ. 151).

ამგვარად, „უცხო“, „მწირი“ და „ტუვე“ ერთმანეთთან შინაარსობრივად ანლოს ძღვოში ტერშინებია და ონიშნავენ წმ. ნინოს მდგრმად რეობას, როდესაც ის პირველად გამოჩნდა საქართველოში. კამცველობრივი დროს, ეს ტერშინები ასახავენ ქრისტიანული ეკლესიის ძღვოშარეობასაც ქართლში მის საბოლოო გამარჯვებამდე — ე. წ. Ecclesia peregrina; სანამ ის გახდებოდა სახელმწიფობრივი ანუ გამარჯვებული რელიგია, ანუ Ecclesia triumphans.

გ. ხასისებ ტერმინი „დედოფალი“ განმარტა, როგორც ქართული თარგმანი სიტყვისა dominus, domina<sup>20</sup>. ეს ტერმინი იბმარებოდა აღრექრისტიანულ ხანაში ტერმინ „წმინდანის“ (sanctus) კანონიზაციაშე<sup>21</sup>. „ნინოს ცხოვრებიდან“ კარგად ჩანს, რომ ამ სიტყვით მიმართავენ ნინოს არა მისი საერო მნიშვნელობით, არამედ სასულიერო — მეუთისადმი მოწიწების ნიშნად. მაგალითად, „მართალსა იტყვ ბედიერო დედოფალო და მოცეკულო ძისა ღმრთისაო“<sup>22</sup>.

ამგვარად, დაპირისპირებების: ტყუე — დედოფალი, უცხო — დედა, შეუწევნელი — შესავეცრებელ ყოველთა, უტუკ — ქადაგ ძლიერ, ახრი ხათელია: წმ. ნინოს ამ ზედწოდებით გამოიხატება თვით იმ ხალხის სულიერი მდგომარეობა, რომლისთვისაც განმანათლებელი ჯერ იყო „უცხო“ და შემდეგ შეიქმნა „დედა“ და ა. შ. ძალზე ძნელია სეთი ლაკონიურობით უკეთ დაიხატოს ქრისტიანობის მიერ მოელი ერის სულიერი გარდასახვის სურათი.

ზეშოთ მოყვანილ პასაკს „მირიანის წიგნიდან“ ძალზე უშეუალოდ და ლოგიკური სიზუსტით მოსდევს მირიანის რწმუნების ეპიზოდი.

### 3. მირიან პასაკის მომცვევა

„... ამან წმიდამან აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისად და შუვა ლამეს ოდენ მეჩუენა მე მზე მბრწყინვალო, ქრისტე ღმერთი ჩუები, რომლისა ხათელი შისი არა შოაკლდეს უკუნისამდე. და შექმნა ჩუენ მოძრუარ და შეძრთნა ჩუენ ერსა ქრისტესა ნათლის-ლებითა წმიდითა და პატიოსნისა ძელისა თავუუანის-ცემითა. და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხოვრებისად და სიხარულისად და ღირს მყვნა უკმოს

20 გ. ნარსი ძ. უმცელესი ქართლი თხულება, გვ. 158.

21 Фрикен. Римские катакомбы и памятники первоначального христианского искусства, ч. II, М., 1877, с. 25—98

22 მოქადაგი ქართლისად, გვ. 121, 122.



ხილვად საიდუმლოთა უსრულელთა ზეცისათა. მე ვიქმენ მოტჩილ ბრძანებათა მისთა...“.

ძალშე საყურადღებოა, თუ როგორ აღწერს თვითონ მირიანი თავისი რწმუნებისა და მოქცევის მიმავს. სიდონიას მიერ აღწერილ თავში მირიანის მოქცევის ეპიზოდი წარმოდგენილია, როგორც ბუნებრივი მზის დაბნელება („და შეა სამხარ იდენ დაბნელდა მის ზედა მზე, და იქმნა ღამე უკუნი, ბნელ ფრიად“<sup>23</sup>) და შემდეგ, მირიანის „ნინოს ღმერთისადმი“ აღვლენილი ლოცვის შედეგად, სასწაულებრივი გათენება, მზის გაშობრწყინება. ამ ეპიზოდმა მკვლევართა ერთ ნაწილს IV ს-ში მზის ორალური დაბნელება ავარაუდებინა. მისი ასტრონომიული ჭესით თარიღის გაანგარიშებაც კი სცადეს. რ. სირაძემ მზის დაბნელების ეპიზოდი კონვენციურ მოტივად მიიჩნია, რომელშიც განხევებულია მზის ღმერთობა<sup>24</sup>. მკვლევარმა ამ ეპიზოდში ნათლის სიბბოლური გააზრება დაინაბა. თვითონ „მირიანის წიგნში“ ეს ეპიზოდი შართლაც წარმოგვიღება, როგორც სულიერი ხილვა. „შეა ღამეს იდენ შეჩერენა მე მზე მბრწყინვალე, ქრისტე ღმერთი ჩეუნი, რომელისა ნ-თელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე“. რ. სირაძე მას მირიანის სულიერ ინიციაციას უწოდებს<sup>25</sup>.

#### 4. პირველი ქრისტიანული მაღალის („ჩრიმომა“) აზერა

„შე ვიქმენ მორჩილ ბრძანებათა მისთა, რომელიცა მასწავა და ოვაშენე ეკლესია სალოცველად სამოთხესა მას მამათა ჩემთასა, და მას შინა სუეტი ესე ნათლისა, რომელიცა მე ყოლად ვერ შეუძლე ყოვლითა ძალითა და ცნობითა კაცობრივითა, ხოლო ღმერთმან მაღალძან მოაკლინა ერთი მსახურთა მისთაგანი და წამის-ყოფითა მისითა ქუცყანით ცად აღიწია. და თუთ თუალნი თქუენი ხედვენ საშინელებასა და საკურველებასა მისსა და მერმე კურნებათა მათ მისთა“.

ეს შონაცვეთიც ძირითადად მოსდევს „ცხოვრებაში“ აღწერილ აქტავს ძელი ცხოველის სასწაულებრივი აღმართვის შესახებ. აქაც, ისევე როგორც წინა შონაცვეთში, ავტორი ცდილობს მოვლენები არა მატერიალური, გარეგნული, არამედ სულიერი მხრიდან აღწეროს. ძელი ცხოველი, რომელიც „ნინოს ცხოვრებაში“ სრულიად გარკვეუ-

<sup>23</sup> მოქცევად ქართლისამ, გვ. 135.

<sup>24</sup> ს. ს ი რ ა ძ ე, ქართული ეფოგრაფია, თბ., 1987, გვ. 92.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 94.



ლად არის შატრერიალური საგანი — ხე — ლიბანის კედარი, ამ შემონაბეჭდით თხვევაში იხსენიება როგორც „სუეტი ესე ნათლისად“. მოვლენათ გვარი არსობრივი, გნებავთ, ფილოსოფიური შეფასება ახასიათებს მთელს „მირიანის წიგნს“.

თუ რას წარმოადგენდა „ქუებოდ“ ეკლესია, ამას მირიანი შემდეგ ამბობს, მაშინ, როდესაც ის საუბრობს „ზემოდ“ ეკლესიში საფლავის შემზადების შესახებ.

### 5. ჯვრიბის აღმართვა

„და ოდეს შაუწყა აღმართებამ, წარვაელინენ ხურონი ძიებად ჰქასა, და ვითარ პოვეს ხე ერთი მარტო მდგრადი კლდესა ზედა, რომლისადა არ მიხებულ იყო კელი კაცისა, არამედ მონადირეთაგან სმენით გუესმინა სასწაული ხისა მის, რამეთუ ოდეს იჩემსა-და ციცი ისარი, შივლტინ ბორცუსა მას ჭუეშე, რომელსა ზედა დგა ხე იგი და სწრაფით ჭამნ თესლსა მას მის ხისა ჩამოცნებულსა და სიკუდილისაგან განერის.

ეს მითხრიან და ვიყავ დაკურვებულ. ამისთვის მოვპერეთ მე ხე იგი და შევქმნენ მისგან სამნი ჭუარნი: ერთი ესე რომელი ზეცით იყო სასწაული შისი, და ერთი აღვემართ ადგილსა მას, სადა-იგი მხილება უფლისაძიერი ვიხილე, მთასა ზედა თხოთისასა, ხოლო ერთი იგი ქალაქსა უქარმას, რომელი წარილო სალომე“.

აქ აღწერილი ეპიზოდი — საჯვარე ხის სასწაულითმოქმედი ძალის შესახებ არ არის მოთხრობილი „ნინოს ცხოვრების“ ძირითად ტექსტში, სადაც ჭვრების აღმართვაზეა საუბარი. ამიტომ „წიგნში“ შედარებით კრცელი საუბარია ბორცვზე მარტო მდგომარე ხის შესახებ, რომლის თესლსაც სიცოცხლის მინიჭების ძალა პქონია. შედარებით უფრო მოკლედ კი მოთხრობილია ჭვრების აღმართვის დანარჩენი დეტალები.

საჯვარე ხის შაცოცხლებელი ძალის შესახებ მოთხრობა უდავოდ ჭვრისა და სიცოცხლის ხის, იგივე ძელი ცხოვრებისას ერთიანობის სიძონლურ გააზრებად უნდა ჩაითვალოს. ასეთი სასწაულმოქმედი ხის არსებობა შცხეთის შახლობლად ღვთის მინიშნებად იქნა მიჩნეული, როგორც ქართლის მოქცევის წინასწარ ღვთის მიერ განსაზღვრულობის დაძალასტურებელი. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ იქ, სადაც ეს ეპიზოდია აღწერილი, ასეთ გამონათქვამს ვხვდებით: „აპა ესერა, კეშმარიტად პირველითგანდე დამატხულ არს

ქუეყანა ესე ღმრთისაგან მსახურად თვისად, რამეთაც ღმრთისაგან აღ-  
შოსცენდა ხე იგი დამარხული ჟამისა ამისთვის<sup>26</sup>. 

#### 6. მაჟალოვანის ბრძის ადგილის მკლასის („ზეოომ“) აჩვენა

„და ალვაშენე ეკლესია მაყულოვანსა მას შინა ნინოსსა, და  
ვქმენ მას შინა საქშო, ქინული უჩინომ და ცხადი, დაღებამ მაყულო-  
ვახთა მათ, რამეთუ არა გამოვაკე ფურცელი ერთიცა მათგან, არამედ  
ხარისხითა გარც-შევიცვენ, რამეთუ მეხილვნეს მრავალნი სასწაულნი  
მას შინა და კურნებანი დიღნი“.

„ზეშომ“ ეკლესიის შენებლობის შესახებ ვრცელ „ნინოს ცხოვ-  
რების“ დანარჩენ ნაწილში არ არის საუბარი. ამის მიზეზი უნდა იყოს  
ის გარემოება, რომ „ზეშომ“ ეკლესია ნინოს გარდაცვალების შემდეგ  
დაუსრულებით, რის შესახებაც მცირე „ნინოს ცხოვრებიდან“ ვიგებთ.  
აქ წ. ხიხოს გარდაცვალების შემდეგ არის მოთხოვნილი ეკლესიის  
მშენებლობის დასრულების ამბავი. რადგანაც „მირიანის წიგნში“ მო-  
ვლენები ერთშახეთის თანმიმდევრობით არის ორერთილი, ამ ეკლესიის  
მშენებლობის ეპიზოდიც წ. ნინოს გარდაცვალების შემდეგ უნდა  
ყოფილიყო აქ მოთავსებული. მაგრამ აქ ეს ა. არ არის, რაც, ჩემი  
აზრით, „მირიანის წიგნის“ დროის კონცეფციისა და მისი კომპოზიცი-  
ური მთლიანობის ინტერესებით იქნა განვირობებული. საქმე ის არის,  
რომ ძეგლი ისეა აგებული, რომ ის მირიან მეფის საფლავის შემთავ-  
ბით, წ. ხიხოს გარდაცვალებითა და მომავალი მკვდრეობით აღდგომის  
მოლოდინის ინტონაციით უნდა დამთავრებულიყო, რასაც ხელს შე-  
უშლიდა ბოლოს ეკლესიის შენებლობის შესახებ თხრობა. ამიტომაც  
მოვლენათა თანმიმდევრობა ოდნავ გადანაცვლებულია, სამაგიეროდ შე-  
ნარჩუნებულია შთელი ისტორიის დროული სურათი: ჭერ ცოდვით  
დაპნევებულ წარსული, შემდეგ მოქმედა — ეკლესიის აგება, ჯვრე-  
ბის აღმართეთა, შემდეგ გარდაცვალება და მომავალი მკვდრეობით აღდ-  
გომის შოლოდინი. ასეთია ძეგლის საერთო ქარგა. ამ ერთიანობას კი,  
ამჯერად კონკრეტული ჭრონოლოგიური უზუსტობის დაშვება სჭირ-  
დებოდა. რაც შეიძლება ძეგლს მხოლოდ მხატვრულ ღრუსებაში ჩაე-  
თვალოს.

„ზეშომ“ ეკლესიის შესახებ თქმული სიტყვების: „და ალვაშენე  
ეკლესია ... და ვქმენ მას შინა საქშო, ქინული უჩინომ და ცხადი დი-

26 ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 119.



დებად მაყვლოვანთა მათი” ქრისტოლოგიური შინაარსი ე. ჭელიძემ „განჩირცადა  
მარტა<sup>27</sup>. მისი თვალსაზრისი მცირე სხვაობით გაიზიარეს ზ. კიქებულიშვილის და თ. შირზაშვილშა. ე. ჭელიძის აზრით, „უჩინოდ და ცხადი“ წარმო-  
ადგენს ახტონბმურ შესიტუაციას. „უჩინოდ“, — წერს მეცნიერი, —  
უველგან რამდე უხილავს, არამატერიალურს, სულიერს აღნიშნავს“. ფრაზა „უჩინოდ და ცხადი... ზუსტად ისეთივე შესიტუაციაა, როგორც  
